დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ქვალონის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნინო ელბაქიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:

ნანა ვარდმანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ცირა მსხილაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

მამუკა ხაჩიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი

მარგარიტა ჯიქია - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი

მაკა გიორგბერიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

ელიზა კუკავა - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

სოფიო ჯგერენაია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

ინგა ანდიაშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

მურად ფახურიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი

ნინო ჭიჭინაძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ხობის მუიციპალიტეტის სოფელ შუა ქვალონის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	244556976

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი შუა ქვალონი
ფაქტობრივი მისამართი	ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი შუა ქვალონი
საფოსტო ინდექსი	5800
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	ელ.ფოსტა kvemokvaloni2@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	591818124

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 9 25 0000536067 16/05/2025
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	26-27 ივნისი. 2025 წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების **ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელიშუა ქვალონი 1 შენობა-ნაგებობა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელიშუა ქვალონი 1 შენობა-ნაგებობა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელიშუა ქვალონი 1 შენობა-ნაგებობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

ჯგუფის თავჯდომარემ teams-ში და სოციალურ ქსელში შექმნა ჯგუფები. იგი კოორდინაციას უწევდა ჯგუფის წევრებს შორის კომუნიკაციას, თავიდანვე გადანაწილდა ფუნქციები, გაიწერა სკოლაში ვიზიტის დღის წესრიგი. თავმჯდომარე პერიოდულად აწყობდა როგორც სავალდებულო, ისე - საჭიროებიდან გამომდინარე რიგგარეშე ონლაინ შეხვედრებს teams-ში. პირველივე შეხვედრის შემდეგ ექსპერტებმა წარმოადგინეს ის დამატებითი დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რისი გაცნობაც ვიზიტამდე საჭიროდ მიიჩნიეს. სკოლამ მითითებულ ვადაში უზრუნველყო მოთხოვნილი დოკუმენტების ცენტრის საშუალებით

ჯგუფისთვის მიწოდება. პირველადი დოკუმენტაცია იყო მოცულობითი, რამაც ექსპერტებს საშუალება მისცა სტანდარტის ოთხივე მიმართულებით სკოლის მუშაობის პირველადი შეფასება გაეკეთებინა. დოკუმენტაცია სტანდარტების მიხედვით იყო დახარისხებული, რაც აადვილებდა მრავალრიცხოვან დოკუმენტაციაში შესაბამისი მასალის მიგნებას.

ვიზიტამდე ჯგუფის თითოეულმა წევრმა თავმჯდომარეს წარუდგინა ვიზიტის პერიოდში განსახილველი საკითხები. დაწყებითი საფეხურის საგნობრივმა ექსპერტმა ავტორიზაციის გუნდთან ერთად განიხილა და შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მოითხოვა საჭირო დამატებითი დოკუმენტაცია. ითანამშრომლა საგნობრივ, კერძოდ, სახელმწიფო ენის, საბუნებისმეტყველო მეცნიერების, მათემატიკის და საზოგადოებრივი მეცნიერებებისა და ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებთნ. ყურადღებით გაეცნო ვიზიტის შემდეგ სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას.

აღსანიშნავია, რომ სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა ისეთი დოკუმენტებიც, რაც ვიზიტამდე არ ჰქონდა წარმოდგენილი.

სკოლის კათედრების წევრებთან საგნობრივი ექსპერტების მიერ წარმართული გასაუბრების პროცესი გეგმის შესაბამისად წარიმართა. ვიზიტის დროს საგნობრივი ექსპერტების მიერ კურიკულუმის ჩარჩოსთან დაკავშირებით გაცემული რჩევები იქნა გათვალისწინებული.

სკოლაში ჩატარებული ინტერვიუების, სასკოლო დოკუმენტაციისა და გარემოს შესწავლის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები, გამოთქვამს მზაობას ავტორიზაციის სტანდარტების "შესაბამის დონეზე დასაკმაყოფილებლად. სკოლაში არის პოზიტიური და თანამშრომლობითი გარემო, რაც დადებითად ისახება სასკოლო ცხოვრებაზე.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

1. სკოლაში არის გამართული ინფრასტრუქტურა და მოსწავლეს სკოლაში ხვდება კეთილგანწყობილი, მოტივირებული სასკოლო საზოგადოება;
2. ტარდება სხვადასხვა პროექტი თუ შემოქმედებითი ღონისძიება, რაშიც სასკოლო საზოგადოებასთან ერთად თემიც აქტიურადაა ჩართული;
3. სკოლაში მოსწავლეთა მოზიდვის მიზნით სკოლა ზრუნავს პროფესიულ კოლეჯებთან თანამსრომლობაზე.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 120	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*რჩევა*

ინდიკატორი N2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას*	***უცხოური ენა*** *სასურველია, რომ დაგეგმვისას უცხოური ენების კათედრის ყველა წევრი დაეყრდნოს ერთიან, შეთანხმებულ ჩარჩოს, რომელიც უზრუნველყოფს თანმიმდევრულობასა და სისტემურობას.*
ინდიკატორი N2.1.2.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	***ესთეტიკური აღზრდა*** *სასურველია, სკოლამ გაითვალისწინოს, რომ საბაზო და საშუალო საფეხურის ხელოვნების კურიკულუმში, ისევე ჩანდეს სავალდებულო თემატური ბლოკის, საკითხის, თემისა და შემოქმედებითი ტიპის დავალები შინაარსობრივი მიმართებები, როგორც ჩანს ხელოვნების დაწყებით საფეხურზე და მუსიკის სამივე საფეხურზე.*
ინდიკატორი N2.1.2.3	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას*	***საბუნებისმეტყველო*** *რადგან საბუნებისმეტყველო საგნების მიხედვით კეთებითი სწავლება გულისხმობს რეალურ ლაბორატორიულ სამუშაოებს, სასურველია აღიჭურვოს ლაბორატორია ფიზიკის სწავლებისთვის საჭირო რესურსებით* ***უცხოური ენა*** *სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწონილია, კათედრას ჰქონდეს საკუთარი აუდიო-ვიდეო მოწყობილობა შესაბამისი ციფრული რესურსებით და ასევე, შეიქმნას ერთიანი რესურსების ბანკი, რომელიც უზრუნველყოფს მასალების სისტემატიზაციასა და გაზიარებას.* ***სახელმწიფო ენა*** *სასურველია, სკოლამ გააძლიეროს რესურსების მრავალფეროვნება, განსაკუთრებით პროექტული და კომპლექსური დავალებების დაგეგმვისა და განხორციელების ნაწილში. მიუხედავად იმისა, რომ კურიკულუმში მითითებულია ზოგადი სასწავლო რესურსები, პროექტული/კომპლექსური აქტივობებისთვის წარმოდგენილი რესურსები ან ძალიან მწირია, ან საერთოდ არ არის ასახული. ამიტომ სასურველია, რესურსების ნაწილი დაიხვეწოს ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს მოსწავლეთა სიღრმისეული ჩართულობა და შემოქმედებითი საქმიანობის ფართო შესაძლებლობები.* ***ტექნოლოგიები***

		სასურველია, სასწავლო პროცესში მასწავლებლებმა გამოიყენონ დამატებით ელექტრონული წყაროები და ციფრული პლატფორმები .
ინდიკატორი N2.1.2.4	*სასწავლო პროცესი არის ინკლუზიურ და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს*	***საბუნებისმეტყველო*** *სასურველია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები შექმნილი იქნეს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული ჩარჩოს შესაბამისად და უფრო მკაფიოდ იქნეს ასახული სსსმ მოსწავლის საჭიროებაზე მორგებული დავალებები და აქტივობები.* ***სახელმწიფო ენა*** *სასურველია, პროექტებისა და კომპლექსურების დაგეგმვის ნაწილში სკოლა დოკუმენტურად ასახოს, როგორ ახდენს დავალებისა და შეფასების კრიტერიუმების მოდიფიცირებას სსსმ მოსწავლისთვის.*
ინდიკატორი N2.1.2.5	*მოსწავლის შეფასების სისტე შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმი განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა ამოცანებს*	***საბუნებისმეტყველო*** *სასურველია, თუ შეფასების რუბრიკაში უფრო მეტი სიზუსტით იქნება გაწერილი შესაფასებელი აქტივობა სამიზნე ცნებასთან მიმართებით.* ***უცხოური ენა*** *სასურველია შეფასების სისტემაში მეტი ყურადღების მიქცევა სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკების შექმნაზე.* ***ესთეტიკური აღზრდა*** *სასურველია შეფასების რუბრიკების კრიტერიუმები მჭიდროდ იყოს დაკავშირებული და მკაფიოდ იყოს დაკონკრეტებული სასწავლო აქტივობებთან მიმართებაში, რათა მკაფიოდ იკვეთებოდეს შესაბამის სამიზნ ცნებებთან კავშირი.* ***სახელმწიფო ენა*** *შეფასების ფორმათა ორგანიზებისას სასურველია, მეტი სიზუსტით ერგებოდეს კონკრეტულ აქტივობას და მკაფიოდ იკვეთებოდეს შესაბამის სამიზნე ცნებებთან კავშირი.* ***მათემატიკა***

		კარგი იქნება თუ შეფასების გამჭვირვალობის პრინციპის უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავდება შეფასების რუბრიკების მოსწავლეებისა და მათი მშობლებისათვის გაცნობის მექანიზმი.
ინდიკატორი N2.2.1.1	*სასწავლო პროცესი დაგეგმილ სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად*	***უცხოური ენა*** *სასურველია, მუშაობის დაგეგმვისას, გათვალისწინებული იყოს რეალურ დროითი და ადამიანური რესურსები, რათა თავიდან ავიცილოთ იმაზე მეტ საქმიანობის დაგეგმვა, რაც განხორციელებისთვის რთული მოუხერხებელია. მიზანია, ყველა აქტივობა იყოს შესრულებადი მოსწავლეებისთვის მაქსიმალურად შედეგიანი.* ***ესთეტიკური აღზრდა*** *სასურველია კურიკულუმში წარმოდგენილი შერჩეული თემები მკაფიოდ იყ სტანდარტით განსაზღვრულ თემატურ ბლოკებთან მიმართებაში და ჩანდ თემისა და თემატური ბლოკის კავშირი.*
ინდიკატორი N2.2.1.3	*შეფასების სისტემა არის ვალიდურ გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ სამართლიანი*	***უცხოური ენა*** *სასურველია, რომ ვერიფიკაციის მექანიზმის შექმნის პროცესში მონაწილეო უცხოური ენების კათედრამ უფრო აქტიურად მიიღოს, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს შეფასების პროცესის გამჭვირვალობასა და საგნობრივ სიზუსტეს.* ***ესთეტიკური აღზრდა*** *სასურველია შეფასების რუბრიკების კრიტერიუმები მჭიდროდ იყოს დაკავშირებული და მკაფიოდ იყოს დაკონკრეტებული სასწავლო აქტივობებთან მიმართებაში, რათა მკაფიოდ იკვეთებოდეს შესაბამის სამიზნ ცნებებთან კავშირი.* ***სახელმწიფო ენა*** *სასურველია უფრო აქტიურად გამოიყენოს სკოლამ შეფასების სხვა ფორმებ როგორებიცაა თვითშეფასება, მოსწავლეთა შეფასება და სხვა... ასევე, როგორ ზემოთ აღვნიშნე, შეფასების ფორმათა ორგანიზებისას სასურველია, მეტი სიზუსტით ერგებოდეს კონკრეტულ აქტივობას და მკაფიოდ იკვეთებოდეს შესაბამის სამიზნე ცნებებთან კავშირი.* ***მათემატიკა***

		კარგი იქნება თუ შეფასების სისტემის ვალიდურობის პრინციპის უზრუნველყოფის მიზნით შეიმუშავებენ უფრო კონკრეტულ, გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ შეფასების რუბრიკებს, ასევე კარგი იქნება შემუშავდე შეფასების რუბრიკების მოსწავლეებისა და მათი მშეობლებისათვის გაცნობის მექანიზმი.
ინდიკატორი N2.2.2.1	*კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში*	***სახელმწიფო ენა*** *სასურველია, სკოლამ გამოიყენოს პროექტორი, ან დიდი ეკრანი ფოტო-ვიდეო-აუდიო მასალის ჩვენებისას. რადგან, როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს მასწავლებლებმა, ისინი ხშრად იყენებენ ტელეფონებს დამატებით რესურსების წარდგენისას.* ***ტექნოლოგიები*** *სასურველია,კურიკულუმის შექმნისას გაითვალისწინონ როგორც ძირითად ასევე დამხმარე რესურსები.*
ინდიკატორი N2.2.2.2	*სკოლა უზრუნველყოფს დამხმარეე სასწავლო რესურსის ვალიდაციას*	***უცხოური ენა*** *სასურველია, რომ სკოლამ გააგრძელოს და კიდევ უფრო გააძლიეროს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის პროცესი, რათა უზრუნველყოს მათი ხარისხი და შესაბამისობა სასწავლო მიზნებთან.*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ქვალონის საჯარო სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, სადაც აღნიშნა, რომ გაეცნო დასკვნის პროექტს და ეთანხმება დასკვნის პროექტში აღწერილ ფაქტობრივ გარემოებებს და წარმოადგინა რეკომენდირებული მტკიცებულება. ექსპერტების მიერ გაცემული რჩევები გაზიარებულია სკოლის მიერ და სრულდება ეტაპობრივად. *ექსპერტთა ჯგუფის ყველა წევრმა გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. ექსპერტთა ჯგუფი სრულად იზიარებს წინამდებარე დასკვნაში ასახულ პოზიციას.*

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლას შემუშავებული აქვს მისია, ხედვა და ღირებულებები. ხედვის მიხედვით 2031 წლისთვის სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ქვალონის საჯარო სკოლა, როგორც მოწინავე საგანმანათლებლო სივრცე, მოიზიდავს ფართო კონტინგენტს და დააკავშირებს ზოგადსა და პროფესიულ განათლებას ადგილობრივი საჭიროებების შესაბამისად. სკოლის მიზანია, გაზარდოს მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა სკოლაზე გათვლილ მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისად. ამ მიზნით, სკოლის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები იქნება:

ა) სკოლაში ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სწავლა-სწავლების პარალელურად არაფორმალური სწავლების მეთოდების ამუშავება;

ბ) მოსწავლეების შესაძლებლობების, ნიჭისა და ინტერესების რეალიზება, ძლიერი მხარეების აღმოჩენა და განვითარება;

გ) სკოლაში შექმნილი შესაბამისი ინკლუზიური, ინდივიდუალური მიდგომების კიდევ უფრო მეტად დახვეწა;

დ) კოლეგებეთან და პროფესიულ სასწავლებლებთან თანამშრომლობის ამოქმედებით მემორანდუმების გაფორმება;

ე) სკოლის ყველა საფეხურზე განათლების მაღალი ხარისხის სასკოლო კურიკულუმების შეთავაზება;

ვ)თანამედროვე მოთხოვნებისა და გამოწვევების შესაბამისად, მოსწავლის თავისუფალ და წარმატებულ პიროვნებად ჩამოყალიბებაზე ზრუნვა;

ზ) წლიურად, მინიმუმ 90% -ის მონაწილეობით მასწავლებელთა პროფესიული გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა;

თ) დაწყებით საფეხურზე მინიმუმ 2ინტეგრირებული პლატფორმისა და ტექნოლოგიებზე ორიენტირებული პროგრამების გამოყენება;

ი) სკოლაზე გათვლილი მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისად, კონტინგენტის ზრდა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლა მოსწავლეებისთვის აწარმოებს საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიას ძალადობის, დისკრიმინაციის, ბულინგისა და კიბერბულინგის წინააღმდეგ. სკოლაში დანერგილია დიფერენცირებული მიდგომები და გათვალისწინებულია ყველა მოსწავლის განვითარების დონე და საჭიროებები. სკოლამ სასკოლო საზოგადოების ჩართულობის პრინციპით შექმნა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სოციალურად უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცე, სადაც, უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები. სკოლაში წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები, ხდება მათი წარმატების გაზიარება სასკოლო საზოგადოებასთან. სკოლაში განხორციელებული და სამომავლოდ დაგეგმილი პროექტები, სადამრიგებლო პროგრამები, საკლუბო და სპორტული აქტივობები ხელს უწყობს ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობითი გარემოს შექმნას. დიდი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განვითარებასა და სამოქალაქო ჩართულობას. მიმდინარე პროექტების მონიტორინგისა და შედეგების ანალიზი გამოიყენება შემდეგ სასწავლო წელს განსახორციელებელი პროექტის დაგეგმვის პროცესში. სკოლას ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული პროფესიულ კოლეჯთან. წლების განმავლობაში დანერგილი პრაქტიკაა და მუდმივად ხორციელდება საკლასო, სოციალური, თემის საჭიროებებზე დაფუძნებული პროექტები, რაც ხელს უწყობს დემოკრატიული კომპეტენციებისა და მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას, ქმნის ჯანსაღ, თანამშრომლობით გარემოს და უზრუნველყოფს მოსწავლის პიროვნული თუ მოქალაქეობრივ განვითარებას. სკოლაში განხორციელებული ვიზიტისა და ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასკოლო პროცესების დაგეგმვასა და განხორციელებაში აქტიურად არიან ჩართული სასკოლო საზოგადოების წევრები. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მრავალფეროვან აქტივობებს არაფორმალური განათლების მიმართულებით პროექტებისა და პროგრამების სახით. სასკოლო გარემო ხელს უწყობს სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის თანამშრომლობას. თვალსაჩინოა, რომ ყველა სტრუქტურული ერთეული მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისად, სკოლაში წახალისებულია მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა ინიციატივები. სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზრვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. მასწავლებლები მორიგეობას განრიგის მიხედვით ასრულებენ. სკოლას აქვს ორსართულიანი შენობა. სკოლის უსაფრთხოებისა და კანონის უზენაესობის განცდის მისაღწევად სკოლაში სხვადასხვა ნორმატიული აქტის საფუძველზე

იდენტიფიცირებულია ფუნქციები, უფლებები და მოვალეობები, რომელიც ემსახურება სასკოლო საზოგადოების განვითარებასა და წინსვლას. სკოლის მთავარი ფასეულობა მოსწავლე და მისი შესაძლებლობების მაქსიმალური გამოლენაა. სკოლა მოსწავლეებს ანიჭებს მაქსიმალურ აკადემიურ თავისუფლებას. მოსწავლეებს შეუძლიათ გამოთქვან საკუთარი აზრი, იდეა, ინიციატივა, რომელიც წახალისებულია სკოლის მიერ. სკოლა ხელს უწყობს მშობელთა ჩართულობას და განუწყეტლივ სთავაზობს მათ სასკოლო ინიციატივებს. სკოლა ნამდვილად არის სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცე. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

მისიის, ხედვისა და სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფთან ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში ჩართულები იყვნენ სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებიც. სკოლის მოსწავლეთა, მშობელთა, თანამშრომელთა და ადგილობრივი თემის წარმომადგენელთა ჩართულობით იქნა შემუშავებული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების ჩამოყალიბების მიზნით ჩატარდა გამოკითხვები სკოლის თანამშრომლებში, მოსწავლეებსა და მშობლებში, რის მტკიცებულებადაც სკოლამ წარმოადგინა სასკოლო საზოგადოებასთან ჩატარებული კითხვარები და სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების კვლევის ანგარიში. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და შვიდწლიანი სტრატეგიურლი გეგმის შემუშავების პროცესში, მაღალი ჩართულობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, სტრატეგიული გეგმის პროექტი დაეგზავნა სკოლის საზოგადოებას და მიეცათ წინადადება, საკუთარი მოსაზრებები წარმოედგინათ სამუშაო ჯგუფში. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაზე მუშაობდა პასუხისმგებელი ჯგუფი და ამ პროცესში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება, ამით უკვე შექმნილია თანაშემოქმედებითობის განცდა. ჯგუფმა ინტერვიუს მიმდინარეობისას აღინიშნა, რომ კლასის ხელმძღვანელებმა მშობელთა კრებებზე პრეზენტაციის სახით წარმოადგინეს და გააზიარეს განახლებული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, მთავარ მტკიცებულებასაც წარმოადგენს 2025 წლის 27 მარტის მშობელთა კრების ოქმი. ოქმში N 1 და N 2 საკითხებად განხილული იქნა, სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებების) საბოლოო ვერსიის გაცნობა და მასში ცვლილებების შეტანა უკუკავშირის საფუძველზე, ასევე, შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა იყო წარმოდგენილი მშობლებისთვის. ოქმში ეწერა, მშობლები თავის მხრივ ამტკიცებდნენ სკოლის ფილოსოფიას და სტრატეგიულ გეგმას. თუმცა, სამუშაო ჯგუფთან ინტერვიუს პროცესში აღმოჩნდა, რომ ოქმში იყო გაპარული ტექნიკური შეცდომა. საბოლოოდ დასტურდება,

რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, სადაც ასახულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები და სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა საჯაროდაა ხელმისაწვდომი. გამოკრულია როგორც სკოლის შენობაში, საინფორმაციო დაფაზე, ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას, ასევე სკოლის ვებ-გვერდზე https://skolebi.emis.ge/schools/1718?schoolName= ატვირთული და გასაჯაროებულია. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულ სახელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N446, 2005 წლის 15 სექტემბერი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №194, 2007 წლის 16 მარტი „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ განსაზღვრავს სკოლის ტიპს და სახელს. სკოლას სახელი შეეცვალა, რადგან სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონის N 2 საჯარო სკოლა, ხობის მუნიციპალიტეტის ქვემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეულის გაყოფის შემდგომ მოქცეულია ახალშექმნილი შუა ქვალონის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, სოფელ გვიმარონში, ამიტომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულია გადაწყვეტილება სკოლისთვის სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ქვალონის საჯარო სკოლის სახელის მინიჭების თანხმობაზე. სკოლას წარმოდგენილი აქვს 2025 წლის 22 აპრილს განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, (საკადასტრო კოდია: 45.14.23.026). აღნიშნული ამონაწერის მიხედვითაც, სკოლის სახელწოდებაა: სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ქვალონის საჯარო სკოლა.

შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა
2. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
3. მშობელთა კრების ოქმი (27/03/2025)
4. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
5. სკოლის შინაგანაწესი
6. ექიმის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადება დადასტურებული ვებ-გვერდზე: https://teacherjobs.ge/
7. ცნობა ადგილობრივი თვითმმართველობის ხობის მუნიციპალიტეტის მერის მიერ გაცემული სკოლის სახელწოდების შეცვლასთან დაკავშირებით (აქტი: ა50. 5023136001)

8. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია
9. კითხვარები
10. სასკოლო საზოგადოებასთან ჩატარებული კითხვარები და სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების კვლევის ანგარიში

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

თავდაპირველად სკოლამ წარმოადგინა სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელიც დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი N2-35 აქტით იყო დამტკიცებული 2025 წლის 31 მარტს. მეთოდოლოგიაის მე-9 მუხლის ე პუნქტში იკითხება: ,,მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და შვიდწლიანი და ერთწლიანი გეგმების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიას განიხილავს და ამტკიცებს სკოლის სამეურვეო საბჭო.“ სკოლას სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი სამეურვეო საბჭოს მიერ არ ჰქონდა დამტკიცებული, თუმცა, ადგილზე ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა 2025 წლის 13 მაისის სამეურვეო საბჭოს ოქმი N 4, სადაც ჩანს, რომ სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერაა დამტკიცებული სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია. მეთოდოლოგია გამოქვეყნებულია სკოლის ვებ-გვერდზე. წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია სტრატეგიული დაგეგმვის თავისებურებები. მეთოდოლოგიაში გაწერილია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესები, პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები/პირები და ეტაპები. სკოლა ამ დოკუმენტით აღიარებს, რომ სტრატეგიული გეგმა, მიზნები და ამოცანები იქმნება სასკოლო

საზოგადოების ჩართულობით. ძირითადი მიდგომებია თანამონაწილეობა, გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება,განსაზღვრულია გაზიარებისა და შემუშავების პროცედურები, სამუშაო ჯგუფის ფორმირება, კვლევის შედეგების გათვალისწინება, კერძოდ - SWOT ანალიზი. წინა გეგმების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. მექანიზმად განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირების მიერ ანგარიშების წარმოდგენა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე მეთოდოლოგია განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

თავდაპირველად სკოლამ წარმოადგინა სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმები, რომელიც დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი N2-36 აქტით იყო დამტკიცებული 2025 წლის 31 მარტს. სკოლას დოკუმენტი სამეურვეო საბჭოს მიერ არ ჰქონდა დამტკიცებული, თუმცა, ადგილზე ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა 2025 წლის 13 მაისის სამეურვეო საბჭოს ოქმი N4, სადაც ჩანს, რომ სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერაა დამტკიცებული სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა. სკოლას შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა ერთწლიან სამოქმედო გეგმასთან ერთად გასაჯაროებული აქვს სკოლის შესასვლელში, საინფორმაციო დაფაზე და სკოლის ვებ-გვერდზე. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. ეს მიზნებია: სტრატეგიული მიზანი N1. სასწავლო პროცესის წარართვისთვის დოკუმენტაცის წარმოება; სტრატეგიული მიზანი № 2. სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება; სტრატეგიული მიზანი №3:მასწავლებელთა საჭიროებების დადგენა და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა; სტრატეგიული მიზანი № 4. უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა; სტრატეგიული მიზანი № 5. მშობელთა ცართულობა სასკოლო ცხოვრებაში. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლამ წარმოადგინა 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც გამომდინარეობს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმიდან. გეგმა თავდაპირველად 2024 წლის სამეურველ საბჭოს 6 სექტემბრის N 8 ოქმით იყო დამტკიცებული, თუმცა, მასში ცვლილებები 2024 წლის 2025 წლის 13 მაისის სამეურვეო საბჭოს ოქმი N 4-ში შევიდა. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გასაჯაროებულია სკოლის ვებ-გვერდზე. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლამ თავდაპირველად წარმოადგინა 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც არ ჩანდა ინდიკატორი და რესურსი. თუმცა, ადგილზე ვიზიტისას სკოლამ წარმოადგინა 2025 წლის 13 მაისის სამეურვეო საბჭოს ოქმი N 4, სადაც ჩანს, რომ სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერაა დამტკიცებული სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითადი მოთხოვნებისა და სკოლის მიერ გაკეთებული დიაგნოსტიკური თვითშეფასების საფუძველზე. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შეიცავს: აქტივობებს, ამოცანების განსახორციელებლად გადადგმულ ნაბიჯებს; ვადას, რომლის პერიოდშიც უნდა განხორციელდეს კონკრეტული აქტივობა; პასუხისმგებელ პირებს, რომელიც განსაზღვრულია კონკრეტული აქტივობაზე, გამოყოფილია ინდიკატორები, რომლითაც იზომება თითოეული აქტივობა და ასევე, გამოყოფილია რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია
2. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა
3. 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
4. სამეურვეო საბჭოს სხდომის N 8 ოქმი (06/09/2024)
5. სამეურვეო საბჭოს სხდომის N 4 ოქმი (13/05/2025)

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესები, პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები/პირები და ეტაპები. ერთ-ერთი ეტაპი მოიცავს სტრატეგიული გეგმის შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგს, ანგარიშების წარდგენასა და გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად ცვლილებების მომზადებას. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლაში განხორციელებული ინტერვიუების შედეგად დგინდება, რომ სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგს. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები ცნობილი, გაზიარებული და გასაჯაროებულია დაინტერესებულ მხარეთათვის. ვიზიტის პროცესში განხორციელებული ინტერვიუებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დადგინდა, რომ გაზიარება ხდება სასკოლო საზოგადოების პროცესში ჩართულობითა და უკუკავშირის მიღებით. სამოქმედო გეგმა საჯაროდ საინფორმაციო დაფაზეა გამოკრული. სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრამდე ანგარიშს აბარებს სამეურვეო საბჭოს. ანგარიში შეეხება, როგორც ფინანსურ, ასევე - სასწავლო მხარესაც. სკოლა ინფორმირებულია სკოლის ვებ-გვერდზე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ანგარიშების გამოქვეყნების ვალდებულებაზე. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

პასუხისმეგებელ ჯგუფთან ინტერვიურებისას დგინდება, რომ მასწავლებელებისა და სრტუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა ანგარიშებს/რეფლექსიას სკოლა იყენებს მომავალი ქმედებების დასაგეგმად. შესაბამისად, დირექტორის მიერ წარმოდგენილი ანგარიშიც, სადაც ხდება გამოწვევების გამოკვეთა, არის საშუალება მომავალ სამოქმედო გეგმაში აქტივობების **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია

2. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა

3. 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

4. სამეურვეო საბჭოს სხდომის N 8 ოქმი (06/09/2024)

5. სამეურვეო საბჭოს სხდომის N 4 ოქმი (13/05/2025

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლამ წარმოადგინა სკოლის სტრუქტურისა და სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი, რომელიც დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი N2-71 აქტითაა დამტკიცებული 2025 წლის 18 ივნისს. დოკუმენტში სქემის სახით წარმოდგენილია სკოლის სტრუქტურა. მკაფიოდაა განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულების მოქმედების არეალი და ანგარიშვალდებულება. სკოლის სტრუქტურის დოკუმენტში გაწერილია სკოლის სტრუქტურულ ერთეულთა ფუნქციები (სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს, დირექციის, მოსწავლეთა თვითმმართველობის, კათედრის, დისციპლინური კომიტეტის), სკოლის სტრუქტურის დოკუმენტში ასევე გაწერილია სტრუქტურული პირების: ფუნქციებიც. ეს დოკუმენტი სკოლის ვებ გვერდზეც არის გასაჯაროებული. სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი 2025 წლის 21 მარტის N 2-16 აქტით, ასევე დამტკიცებულია ,,სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შექმნის შესახებ“ დოკუმენტი, სადაც ხარისხის უზრუნველყოფის თანამშრომლებად დანიშნულია ხარისხის მართვის სპეციალისტი, შიდა სეფასების კოორდინატორი და სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი. **შესაბამისად, :ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და ვალდებულებები განისაზღვრება სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებისა და სკოლის შინაგანაწესის მიხედვით. სკოლის სტრუქტურული ერთეულები ასრულებენ საჯარო სკოლის წესდებით დადგენილ უფლება-მოვალეობებს, დირექტორის უფლება-მოვალეობები დირექტორის ეთიკის კოდექსის შესაბამისად, ხოლო - მასწავლებლის უფლება-მოვალეობები მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის შესაბამისად არის

განსაზღვრული. სკოლაში მოქმედი აქტებით გადანაწილებულია ფუნქციები, რომელიც შეესაბამება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თანამშრომელთა შრომითი ხელშეკრულებები
- სკოლის შინაგანაწესი
- სკოლის სტრუქტურა
- სკოლის სტრუქტურისა და სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქმციების აღმწერი დოკუმენტი - ბრძანება N2-71 (18/06/2025)
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა
- სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი 2025 წლის 21 მარტის N 2-16 აქტი,, ,,სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შექმნის შესახებ“

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

თანამშრომელთა ხელშეკრულებები ეხმარება სკოლას ადამიანური რესურსების მართვის პროცესების წარმართვაში. თანამშრომლის მიღების შემთხვევაში მასთან ფორმდება ხელშეკრულება, რომელშიც მკაფიოდაა გაწერილი მისი უფლება-მოვალეობები, თანამშრომლები ეცნობიან სკოლის შინაგანაწესს, რაც შინაგანაწესზე მათი ხელმოწერებით დასტურდება. ახალი კადრის აყვანა სკოლაში ხდება საჭიროებიდან გამომდინარე კონკურსის წესით. კონკურსის ჩატარების წესი და საკონკურსო კომისია მტკიცდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი 2025 წლის 31 მარტის N 2-32 აქტითა დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

საჭიროებებიდან გამომდინარე ხდება ინტერვენციის განხორციელება. თანამშრომლებზე გარკვეული უფლება-მოვალეობების ან პასუხისმგებლობის დაკისრება მათი შესაძლებლობების და საშემსრულებლო პასუხისმგებლობის გათვალისწინებით ხდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. მაგალითად, კლასის ხელმძღვანელის ფუნქციის

დაკისრება, საგანგებო სიტუაციებში სკოლის მართვის გეგმის მიხედვით ფუნქციათა გადანაწილება და სხვ. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლაში კონკრეტულ პოზიციაზე ვაკანსიის გაჩენის შემთხვევაში დირექტორის ბრძანებით ცხადდება კონკურსი და იქმნება საკონკურსო კომისია. კომისია შეიმუშავებს კონკურსის ჩატარების წესს და საჯარო სივრცეში ცხადდება ვაკანსია. განცხადება შიდა კონკურსის შესახებ ქვეყნდება სკოლაში ყველასთვის ხელმისწავდომ ადგილას, ხოლო ღია კონკურსის შესახებ - საჯაროდ, ვებგვერდზე: www. pedagogi.ge / teachersjobs.ge. საჯარო სივრცეში კონკურსის გამოცხადებისთანავე იქვე მითითებულია ის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს აპლიკანტი. პერსონალის შერჩევის წესი გამჭვირვალეა, დაცულია ობიექტურობა. აპლიკანტს ეცნობება შედეგები და ეძლევა დრო გასაჩივრებისთვის. სკოლა მოტივირებულია პროფესიონალი კადრის შერჩევისთვის. კონკურსი ძირითადად მიმდინარეობს ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე ხდება აპლიკანტების მიერ წარმოდგენილი საბუთების გადარჩევა, რაც გამორიცხავს არაკვალიფიციური კადრის მოხვედრას თანამდებობაზე და მეორე ეტაპზე გასაუბრების გზით. ხდება აპლიკანტის პიროვნული და პროფესიული უნარების გამოკვლევა. კომისიის წევრებს შემუშავებული აქვთ აპლიკანტის შეფასების სქემა, აფასებენ ინდივიდუალურად და შედეგების მიხედვით იღებენ გადაწყვეტილებას. პოზიციაზე შეირჩევა ქულათა ჯამით საუკეთესო შედეგის მქონე აპლიკანტი. კანდიდატების შეფასების შემდეგ, კომისია შესაბამის რეკომენდაციას წარუდგენს სკოლის დირექტორს, რომელიც კანონმდებლობით განსაზღვრული წესით უფორმებს მასწავლებელს შრომით ხელშეკრულებას. ბოლოს სკოლას კონკურსის წესით მიღებული ჰყავს ქიმიის მასწავლებელი, რაც დასტურდება ინტერვიუებით, საკონკურსო კომისიის ოქმებით, ხელშეკრულებებითა და პირადი საქმეებით. სკოლას ახლაც აქვს გამოცხადებული კონკურსის ექიმის ვაკანსიაზე. დასაქმებული პერსონალის პირად საქმეებში ინახება ცნობები ნასამართლეობის შესახებ. 2020 წლის 23 ივლისის შემდეგ სკოლაში მიღებულ ყველა თანამშრომელს აქვს ცნობა ნასამართლეობის შესახებ, ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის და ცნობა ,უფლების ჩამორთმევის შესახებ. დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის, საზოგადოებრივ სამუსაოებზე ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში სკოლას დასაქმებული ჰყავს 2 დამლაგებელი, 1 მუშა. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი 2025 წლის 21 მარტის N 2-21 აქტითა აქვს სკოლას დამტკიცებული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების ამსახველი დოკუმენტი, ,,სკოლის დასაქმებულ პირთა

საკვალიფიკაციო მოთხოვნების დებულების დამტკიცების შესახებ," სადაც გაწერილია დირექტორის, ბუღალტრის, საქმისმწარმოებლის, ექიმი/ექთნის, დამლაგებლის, დარაჯის, მუშის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის, ბიბლიოთეკარის, მასწავლებლის, სპეციალური მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ, ასევე წარმოადგინა ,,სკოლის ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის შეფასების კრიტერიუმების დებულება," რომელიც დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი 2025 წლის 21 მარტის N 2-14 აქტითა დამტკიცებული. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლაში ახალი კადრის შერჩევის გადაწყვეტილებას იღებს გუნდი (საკონკურსო კომისია), მის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში საკითხს განიხილავს გუნდი (დისციპლინური კომისია) და ა. შ. სკოლის ორგანიზაციული კულტურა გუნდურობის პრინციპს ეფუძნება, გუნდში ფუნქციები გადანაწილებულია შესაძლებლობების, ინტერესების და კვალიფიკაციის მიხედვით. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა დაფუძნებულია მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებზე. სკოლის მართვისა და დაგეგმვისთვის საჭირო გადაწყვეტილებების მიღება მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობითა და თანამშრომლობით. სკოლაში შექმნილია ისეთი სამუშაო გარემო, რომელიც საშუალებას აძლევს დასაქმებულ პირებს თავისუფლად წარმოაჩინონ საკუთარი შესაძლებლობები და განავითარონ პიროვნული უნარ-ჩვევები, მათ ეძლევათ გარკვეული თავისუფლება, გადაწყვეტილებების მიღება და მასზე პასუხისმგებლობის აღება. თვალსაჩინოა, რომ სკოლა მუშაობს გუნდური პრინციპით, რა დროსაც თანამშრომლებს შორის ხდება გამოცდილების გაზიარება და წარმატებული სამუშაო პრაქტიკის დანერგვა. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების ერთ-ერთ მექანიზმია პედაგოგებს შორის პედაგოგიური პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების, ტრენინგზე თუ კონფერენციაზე მიღებული სიახლეების, მიდგომების, მეთოდების გაზიარება, ახალი იდეების მხარდაჭერა. წარმატებული გამოცდილების გაზიარება მასწავლებლებს შორის ძირითადად ხდება კათედრებზე და პედაგოგიურ საბჭოზე. იგეგმება და ხორციელდება ერთობლივი სასკოლო თუ საკლასო პროექტები. რაც შეეხება აღიარებას, სკოლა სხვადასხვა აქტივობაში აქტიურად ჩართულ მასწავლებლებსა თუ პერსონალს დიპლომებითა და სიგელებით აჯილდოებს, სოციალურ ქსელში, სკოლის გვერდზე მიღწეული წარმატების თუ განხორციელებული პროექტის

გამოქვეყნება ხდება.სკოლას მემორანდუმი აქვს დადებული პროფესიულ კოლეჯთან. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *სკოლის შინაგანაწესი*
2. *თანამშრომელთა ხელშეკრულებები*
3. *უფროსი და წამყვანი მასწავლებლების ხელშეკრულებები*
4. *ღია კონკურსის მასალები - ქიმიის მასწავლებლის შერჩევის საკონკურსო კომისიის ოქმები, ბრძანებები, კონკურსანტის დოკუმენტაცია*
5. *ექიმის შერჩევის მიზნით გამოცხადებული კონკურსი https://teacherjobs.ge/-ზე*
6. *პერსონალის პირადი საქმეები*
7. *დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი 2025 წლი 21 მარტის N 2-20 აქტი ,,სკოლის დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დებულების დამტკიცების შესახებ,“*
8. *სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი 2025 წლის 21 მარტის N 2-14 აქტი,, ,,სკოლის ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის შეფასების კრიტერიუმების დებულება,“*
9. *სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი 2025 წლის 31 მარტის N 2-32 აქტი,, ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა,“*
10. *სიგელები*
11. *მემორანდუმი პროფესიულ კოლეჯთან*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენის მექანიზმად სკოლა იყენებს მასწავლებეთა რეფლექსიებსა და თვითშეფასებებს. სკოლას აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი 2025 წლის 31 მარტის N 2-32 აქტითაა დამტკიცებული და რომლის მე-19 მუხლში იკითხება, თუ როგორ ხდება სკოლაში ადამიანური რესურსის შესრულებული სამუშაოს შეფასება. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის N 2-70 (18.06.2025) ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის პრაქტიკული საქმიანობის შეფასების ინსტრუმენტები. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლის შეფასება ხორციელდება მათ მიერ შესრულებული დავალებების ხარისხის შემოწმებით. მასწავლებელთა საქმიანობაზე დაკვირვებისა და შეფასების, მასწავლებელთა თვითშეფასების, უკუკავშირის საფუძველზე კათედრის სხდომებზე განიხილება მასწავლებელთა საჭიროებები და განსახორციელებელი ღონისძიებები. მასწავლებელთა საჭიროებების შესაბამისად იგეგმება სხვადასხვა აქტივობა. მათ შორის: თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება, სხვადასხვა სახის ტრენინგის ჩატარება და ა. შ. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია კონკრეტული აქტივობები მასწავლებელთა პროფესიული განვითარების კუთხით. სკოლაში არსებული დოკუმენტაციით დასტურდება, რომ მასწავლებლები ჩართულნი არიან როგორც სავალდებულო ტრენინგებში, ასევე - სხვადასხვა პროექტის მიერ შემოთავაზებულ ტრენინგებსა და სემინარებში. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ განვითარებას, პედაგოგები ურთიერთგამოცდილებისა და ცოდნის გაზიარებით ივითარებენ პროფესიულ უნარ-ჩვევებს. მასწავლებლები გადიან ტრენინგებს. სკოლაში თანამშრომლობითი გარემოა. სკოლაში 4 წამყვანი და დანარჩენი უფროსი მასწავლებელია. სკოლაში მუშაობს USAID საბაზისო განათლების პროექტის ლიდერ მასწავლებლები. სკოლა მათ საშუალებას აძლევს და ახალისებს ჩაატარონ სამუშაო შეხვედრები, რაც ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ ზრდას. სკოლას ჰყავს წარმატებული კურსდამთავრებულები, რომლებიც ამაყობენ თავიანთი სკოლით და მასწავლებლებით. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

ახალი თანამშრომელს დირექცია აცნობს სკოლის შინაგანაწესს, სკოლის ფილოსოფიას (მისიას, ხედვას, ღირებულებებს). პირველივე დღესვე დირექცია ახალ თანამშრომელს ათვალიერებინებს სკოლის ინფრასტრუქტურას და უზრუნველყოფს სკოლის თანამშრომლებთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრას, რაც სკოლის დირექტორთან ინტერვიუს დროს გაირკვა.

ექსპერტები ადგილზე ვიზიტის დროს თავადაც დავრწმუნდით, რომ ახალი პერსონალისთვის ხელმისაწვდომია კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, რესურსოთახი, სპორტული მოედანი, ექიმის კაბინეტი. სკოლა უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო საქმიანობისათვის საჭირო შესაბამისი ინფრასტრუქტურით. სკოლაში შექმნილია კოლეგიალური, კეთილგანწყობილი, ხელშემწყობი გარემო ახალი თანამშრომლის სამუშაოსთან ინტეგრაციის მიზნით. სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი 2025 წლის 18 ივნისის N 2-68 აქტითაა დამტკიცებული ,,ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესი," ამასთანავე, ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში მე-18 მუხლად გაწერილია ,,ახალი თანამშრომლის სოციალიზაცია." **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია სკოლის მიერ. ინიციატივებს ძირითადად ზეპირსიტყვიერად აფიქსირებენ თანამშრომლები. სკოლაში წახალისებულია წარმატებული მასწავლებელი ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისა და მოსწავლეთა აღზრდაში შეტანილი წვლილისათვის. ასეთ მასწავლებლებს სკოლა აჯილდოებს სიგელებით. სკოლა ახალისებს მასწავლებელთა ინიციატივებსა და პროექტებში მათ მონაწილეობას. **შეაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი 2025 წლის 31 მარტის N 2-32 აქტი,, ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა,"
2. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
3. ტრენინგების შემდეგ გაცემული ცნობები და სერთიფიკატები
4. მასწავლებლების პირადი საქმეები
5 მასწავლებლის სამუშაო შეხვედრის რეფლექსია
7. სკოლის სოციალური ქსელი
8. სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი 2025 წლის 18 ივნისის N 2-68 აქტი,, ,ახალი ტანამშრომლის ადაპტაციის წესი"
9. ურთიერთდასწრების დამადასტურებელი - რეფლექსიები (უკუკავშირები), დაკვირვების ფორმები, ,,გვირგვინის" ფორმა
10. დირექტორის N 2-70 (18.06.2025) ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის პრაქტიკული საქმიანობის შეფასების ინსტრუმენტები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება სკოლის მისიას, მიზნებს, სასკოლო სასწავლო გეგმას. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობა მოიცავს საგაკვეთილო და კლასგარეშე საქმიანობას, მასწავლებელთა პროფესიული დონის ამაღლებაზე ზრუნვას, სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომების დანერგვას, სწავლის ხარისხის ამაღლებას, მშობლებთან კომუნიკაციის გააქტიურებას და ა.შ., რაც რეგულირდება სასკოლო კურიკულუმით, სკოლის შინაგანაწესით. ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ სკოლის პერსონალს გააზრებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი: დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი, შეფასება და რევიზია. სკოლას აქვს ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი, რომელიც დირექტორის N 2-16 (21/03/2025) ბრძანებითაა დამტკიცებული. სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი 2025 წლის 21 მარტის N 2-16 აქტით, ასევე დამტკიცებულია ,,სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შექმნის შესახებ“ დოკუმენტი, სადაც ხარისხის უზრუნველყოფის თანამშრომლებად დანიშნულია ხარისხის მართვის სპეციალისტი, შიდა სეფასების კოორდინატორი და სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი. ხარისხის უზრუნველყოფა დასტურდება მასწავლებელთა რეფლექსიებითა და კათედრების პორტფოლიოებითაც, ასევე, 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმით, რომელიც სკოლის ვებ-გვერდზეცაა გასაჯაროებული. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

სკოლა პროცესებს მართავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი და სკოლის შიდა დოკუმენტებით, რომელშიც შედის სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, სტრუქტურული ერთეულების დებულებები - მათ შორის: სამეურვეოს და პედაგოგიური საბჭოების დებულებები, თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და სხვ. სკოლამ ვიზიტის პროცესში წარმოადგინა საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების აღმწერი დოკუმენტი, რომელიც ,,ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის" დოკუმენტშია გაწერილი და რომელიც სკოლის დირექტორის N2-67 (18.06.2025) ბრძანებით იქნა დამტკიცებული. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

სკოლის დირექტორის და დისციპლინური კომიტეტის უფლებამოსილება განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობით. ცალკეული პროცედურული საკითხები დარეგულირებულია სკოლის შინაგანაწესით, რომელიც სკოლის ვებ-გვერდზეცაა გასაჯაროებული. თანამშრომლების, მოსწავლეების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების სურვილის შემთხვევისთვის, ასევე, საჩივრის განხილვის ეფექტურობისთვის სკოლაში მუშაობს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი. კონკურსების შემთხვევაში იქმნება საპრეტენზიო კომისია. დანერგილია სემესტრული ნიშნის გასაჩივრების მექანიზმი და პროცედურა. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა ,,სკოლაში განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესი," რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ 2025 წლის N2-21 (21.03.2025) ბრძანებით. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლის შინაგანაწესის განსაზღვრულია სკოლის პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფაზე და სკოლის ვებ-გვერდზეა გამოქვეყნებული. სკოლაში არის პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი, რომელიც უპირველესად ხორციელდება შინაგანაწესზე დაყრდნობითა და კოლეგიალურ ორგანოებში წარმომადგენელთა ყოლითა და მათი ინტერესების დაცვით. სკოლაში ყველა მოქმედ კლასში არჩეულია მშობელთა კომიტეტის წევრები. სკოლის პერსონალი და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო თუ საკლასო პროექტებში. უფლებები უფრო დაზუსტებულია ხელშეკრულებით, რომელიც ფორმდება სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის, სკოლასა და პერსონალს შორის. გასაუბრების დროს დადგინდა, რომ მიმდინარე სასწავლო წელს სკოლაში გასაჩივრების ფაქტი

არ დაფიქსირებულა. სკოლამ წარმოადგინა ,,სკოლაში განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესი," რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ 2025 წლის N2-21 (21.03.2025) ბრძანებით. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი, რომელიც დირექტორის N 2-16 (21/03/2025) ბრძანებითაა დამტკიცებული.

2. სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი 2025 წლის 21 მარტის N 2-16 აქტით დამტკიცებული ,,სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შექმნის შესახებ"

2. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი და დამხმარე პროცესების აღმწერი დოკუმენტი

3. ,გასაჩივრების დეტალური პროცედურების" დოკუმენტი. N2-17 (26.06.2024) ბრძანება

4. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

5. 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა

6. სკოლის შინაგანაწესი

7. ვიდეოსათვალთვალო კამერების ფოტოები

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების საშუალებები, როგორიცაა: საინფორმაციო დაფა, სოციალური ქსელი-სკოლის ფეისბუქგვერდი, დახურული ჯგუფები, სკოლის ელექტრონული ფოსტა, eflow, Teams-ის პლატფორმა, ელექტრონული ჟურნალი, სატელეფონო კომუნიკაცია. სკოლა ამ მიმართულებით კარგად იყენებს მშობელთა კრებებს, მშობლებთან ინდივიდუალურ შეხვედრებს, სასკოლო თუ საკლასო პროექტებს. ყველა კლასში ჩამოყალიბებულია მშობელთა კომიტეტები. სხვადასხვა გზით ხდება უკუკავშირის მიღება მშობლებისგან, რაზეც ხორციელდება შესაბამისი რეაგირება. მშობელთა კრებებზე ხდება სასკოლო სასწავლო გეგმის, შინაგანაწესის გაცნობა, რაც ასახულია მშობელთა კრების ოქმებშიც. სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის დადებულია ხელშეკრულება. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლის მართვის პროცესში სკოლის საზოგადოების ჩართულობა გამოიხატება სკოლის სტრუქტურულ ერთეულებში. ეს ერთეულებია: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო. სასკოლო საზოგადოებას აქვს პროცესებში მონაწილეობის შესაძლებლობები. სკოლის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში, სამეურვეო საბჭოში წარმოდგენილია სასკოლო საზოგადოების სამივე საფეხური. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები
2. მშობელთა კრების ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის**

განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)

მოსწავლის სკოლაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში დამრიგებელი გაცდენის მიზეზის დასადგენად მობილურით ან მესენჯერით უკავშირდება მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. დირექტორის N 2-30 (13.03.2024) ბრძანებით დამტკიცებულია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც სკოლის ვებ-გვერდზეცაა გამოქვეყნებული და სადაც გაწერილია ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები. ცალკე მუხლადაა გამოყოფილი საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები. სკოლის გარე პერიმეტრი აღჭურვილია ვიდეო-სამეთვალყურეო 22 კამერით, აქედან გარე პერიმეტრზე - 8 და შიგა პერიმეტრზე 14 კამერით. ფიზიკური უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმების გასაუმჯობესებლად სკოლაში მოქმედებს მრჩეველთა საბჭო. სკოლაში განთავსებულია ცეცხლმაქრები და საევაკუაციო გეგმები. ფუნქციონირებს საევაკუაციო გასასვლელები, სათადარიგო კიბეები. უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც მანდატურის სამსახურის მიერაა გადამზადებული. სკოლას აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. სკოლას ასევე აქვს შსს სსდ სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ გაცემული სკოლის შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის დასკვნა. სკოლას შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ სკოლის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნის დოკუმენტი თავდაპირველად არ ჰქონდა წარმოდგენილი. სკოლა აღნიშნავდა, რომ შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადებში - 2025 წლის 28 დეკემბრამდე წარმოადგენდა, თუმცა არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირების დროს სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტი. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას. სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი, რომელიც მოწყობილია ბრძანების შესაბამისად: აღჭურვილია ავეჯით, სამედიცინო ინვენტარით, ტექნიკით, მედიკამენტებითა და სახარჯი მასალით. სკოლას გამოცხადებული აქვს კონკურსი ექიმის ვაკანსიაზე. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების“ საფუძველზე შექმნილია მრჩეველთა საბჭო. სკოლაში 22 სათვალთვალო ვიდეოკამერაა, რომელიც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით ახორციელებს ვიდეოთვალთვალს, უზრუნველყოფენ სკოლის გარე პერიმეტრის კონტროლს. სასკოლო საზოგადოებისა და მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვა ხდება მასწავლებელთა მორიგეობით. სკოლაში შემომსვლელი ყველა უცხო პირი ტარდება სარეგისტრაციო ჟურნალში. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, როგორც გაკვეთილების მიმდინარეობისას, ასევე შენობაში შესვლისა და გასვლის დროს. სკოლაში მასწავლებლები მორიგეობენ გაკვეთილების მიმდინარეობისას, ასევე სკოლის ვიზიტორებს აღრიცხავენ სპეციალურ ჟურნაში. სკოლას ჰყავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას დირექტორის 2025 წლის 6 ივნისის N 1/კ-10 ბრძანებით დამტკიცებული ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევის პრევენციის მიზნით უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების დანერგვასა და მართვას. ღონისძიებების ეს ერთობლიობა მინიმუმამდე ამცირებს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტებს. დირექტორის N 2-30 (13.03.2024) ბრძანებით დამტკიცებულია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი, სადაც გაწერილია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმი. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

კლასის ხელმძღვანელთა მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ურთიერთდამოკიდებულებას, არადისკრიმინაციული გარემოს შექმნას, მათ ფსიქოლოგიურ და ემოციურ მდგომარეობას, მოსწავლეების მხრიდან გაკვეთილების გაცდენის გამომწვევი მიზეზების მოკვლევასა და შესაბამის რეაგირებას, მშობელთა დამოკიდებულებებს და პასუხისმგებლობას შვილების მიმართ. კლასის ხელმძღვანელების მხრიდან ხშირად იგეგმება და ხორციელდება პროექტები მშობელთა ჩართულობით, იმართება პრევენციული ღონისძიებები ბულინგის საწინააღმდეგოდ. სადამრიგებლო პროგრამებში და სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია კონკრეტული აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას. დირექტორის N 2-30 (13.03.2024) ბრძანებით დამტკიცებულია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი, სადაც გაწერილია

ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმი. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები დაცულია როგორც სკოლის შიდა, ასევე - გარე პერიმეტრზე. მოწესრიგებულია სველი წერტილები. დამლაგებლები უზრუნველყოფენ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას, სველი წერტილების, დერეფნების, კიბის საფეხურებისა და სახელურების სველი წესით დამუშავებას. სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები დაცულია სტანდარტის შეასაბამისად. პანდემიის პერიოდში და შემდგომაც მშობელთა მხრიდან არაერთხელ გამახვილებულა ყურადღება ჰიგიენური პირობების დაცვის მაღალ სტანდარტზე. სკოლას ჰყავს საშტატო განრიგით გათვალისწინებული 2 და დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამით დასაქმებული 2 დამლაგებელი, სულ - 4 დამლაგებელი. დირექტორის N 2-30 (13.03.2024) ბრძანებით დამტკიცებულია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი, სადაც ცალკე თავადაა გაწერილი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

მოსწავლეებისა და თანამშრომლების პირადი საქმეები ინახება სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე და მის დაცვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. ასევე, პერსონალური მონაცემები შენახულია ელექტრონულადაც, რომლის დაცვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. ნებისმიერი სახის პერსონალური ინფორმაციის გაცემა ხდება მხოლოდ თანამშრომელთან, მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმებით. მშობლისთვის მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაცნობა ხდება ელექტრონული ჟურნალის საშუალებით კონკრეტული მშობლისთვის განკუთვნილ სივრცეში, სადაც მხოლოდ თავისი შვილის/შვილების ქულებს და განმავითარებელ კომენტარებს ნახულობს. მატერიალური საკლასო ჟურნალები ინახება კანონმდებლობის დაცვით. სკოლამ წარმოადგინა პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი, სადაც ვკითხულობთ, რომ სკოლას პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი ჰყავს და მისი ფუნქციებიცაა გაწერილი. დირექტორის 2025 წლის 6 ივნისის N 1/კ-10 ბრძანებით სკოლაში დანიშნულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლის მიერ დამტკიცებული ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი.“ სკოლას დაყენებული აქვს ფილტრი უსაფრთხო და დაცული საიტებით სარგებლობისათვის. პერსონალური ინფორმაციის დაცვის მიზნით სკოლაში არსებულ ყველა კომპიუტერს/კომპიუტერულ მოწყობილობას გააჩნია ანტივირუსული პროგრამა/დამცავი ბარიერი. ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვას ახორციელებს IT მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერული პროგრამების განახლებას, სამომხმარებლო და ანტივირუსული პროგრამების ჩაწერას, კომპიუტერული ტექნიკის უსაფრთხო და ეფექტურ მუშაობას, სკოლის შიდა ქსელური სერვისების პროგრამულად გამართვას. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლა მუდმივად აკვირდება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირებას, პერიოდულად შეხვედრებზე, კოლეგიალურ ორგანოთა სხდომებზე ხდება მათი შეფასება, რაც უპირობოდ გამოიყენება მისი გაუმჯობესებისთვის. სკოლა ახორციელებს უსაფრთხოების ნორმების მონიტორინგს და ანგარიშს წარადგენს მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე. აღნიშნული დადასტურდა დირექციასთან და სკოლის პერსონალთან გასაუბრებითა და მრჩეველთა საბჭოს ოქმით. სკოლაში არსებობს პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე თანხმობის ფორმები ასევე დირექტორის N 2-23 (21.03.2025) ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და მონიტორინგის წესი. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *დირექტორის N 2-30 (13.03.2024) ბრძანებით დამტკიცებული ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი*
2. *ვიდეო სამეთვალყურეო კამერის ფოტოები*
3. *საევაკუაციო ვარჯიშების ამსახველი ფოტომასალა და ვიდეორგოლი*
4. *მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი*
5. *ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა*

6. *პროექტები*

7. *სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი*

8. *სკოლის პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესი*

9. *სამეურვეო საბჭოს ოქმი*

10. *უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის გრძანება*

11. *უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.*

12. *შსს სსდ სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ სკოლის შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის დასკვნა*

13. *პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის დანიშვნის გრძანება N 1/ჯ-10 (06.06.2025)*

14. *პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე თანხმობის ფორმები*

15. *პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და მონიტორინგის წესი - გრძანება N 2-23 (21.03.2025)*

16. *მრჩეველთა საბჭოს ოქმები*

17. *საჯარო ინფორმაცია - 10 დეკემბრის ანგარიში პრეზიდენტს, პრემიერს, პარლამენტის თავმჯდომარეს*

18. *დირექტორის გრძანება N 2-69 (18.06.2025) - უსაფრთხოების პოლიტიკის დამტკიცების შესახებ*

შენობაში შემოსვლისა და გასვლის აღრიცხვის ჟურნალი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

შენობა უზრუნველყოფილია წყალმომარაგებით, გათბობით, ელექტრომომარაგებითა და საკანალიზაციო სისტემით. სკოლის ტერიტორიაზე დგას 2 დამხმარე შენობა: გათბობის ქვაბისა და წყლის რეზერვუარის შენობები. სკოლას აქვს სათადარიგო გასასვლელები და კიბეები. სკოლის დაზუსტებული ფართობი 20001.00 კვ. მეტრია, რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით. სრული რეაბილიტაციის შემდეგ სკოლას არ განუახლებია სკოლის ნახაზი, თუმცა ვიზიტის დროს დაიწყეს ამ საკითხზე ზრუნვა და არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირების დროს წარმოადგინა განახლებული ნახაზი. სკოლის მთელ ტერიტორიას ფარავს უკაბელო ინტერნეტის სისტემა, აღჭურვილია ვიდეო-სამეთვალყურეო კამერებით. სკოლაში არის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და კომპიუტერების ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, რესურსოთახი, სამასწავლებლო, ექიმის კაბინეტი და სპორტული დარბაზი და მოედანი. სკოლას 120 მოსწავლეზე აქვს მოთხოვნა. ამ ეტაპზე სკოლაში სწავლობს 55 მოსწავლე (ერთ ცვლაში). სკოლის ინფრასტრუქტურა გამართულია. სკოლას ამ ეტაპზე აქვს 200 მერხი და სკამი, ამის გარდა 20 მერხი და სკამი მეზობელ სკოლაზე აქვს განათხოვრებული. სკოლას აქვს 11 პერსონალური კომპიუტერი, 2 ლეპტოპი, 6 პრინტერი, 1 პროექტორი. სკოლას ერთ ცვლაში თავისუფლად შეუძლია მიიღოს 120 მოსწავლე. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეები, როგორიცაა კომპიუტერული ლაბორატორია, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, რესურსოთახი, სპორტული მოედანი, სველი წერტილები და მატერიალური რესურსი თანაბრად ხელმისაწვდომია სასკოლო

საზოგადოებისათვის. სკოლაში მოსწავლეებისთვის არსებობს მოწესრიგებული და უსაფრთხო გარემო. მნიშვნელოვანი რესურსია სკოლისთვის რესურსოთახი. ამ ეტაპზე სკოლას 2 სსსმ მოსწავლე ჰყავს. მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შეუძლიათ სრულად და ჯეროვნად გამოიყენონ სპორტული სივრცე და აღჭურვილობა. გარდა საგაკვეთილო პერიოდისა, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს არასაგაკვეთილო პერიოდშიც გამოიყენონ სპორტული სივრცე, კომპიუტერული ლაბორატორია: კომპიუტერი, პრინტერი, ქსეროქსი, სკანირება. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომლის განახლება პერიოდულად ხდება. განახლების დროს გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, ასევე, მასწავლებელთა სურვილები სასწავლო რესურსად გამოიყენონ მხატვრული ლიტერატურა. ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლია ყველას - მოსწავლესაც და მასწავლებელსაც. ბიბლიოთეკის მუშაობას წარმართავს ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რის შესაბამისადაც ხდება სასწავლო რესურსების კატალოგის დამუშავება. ბიბლიოთეკაში არის სამკითხველო სივრცე, დგას კომპიუტერი და პრინტერი, რომლითაც სარგებლობენ მოსწავლეები და სკოლის სხვა თანამშრომლები. გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, მხატვრული ლიტერატურა, ელექტრორესურსები, რუკები, პლაკატები მოსწავლისა და მასწავლებლისათვის ხელმისაწვდომია. სასკოლო კურიკულუმის შემადგენელი ნაწილია საგნობრივი კურიკულუმები, რომლებშიც გაწერილია ის რესურსები, რაც საგნის სწავლებისთვის წლის მანძილზე არის საჭირო. სკოლა ცდილობს შეიძინოს აღნიშნული რესურსები. წლების მანძილზე სკოლაში დაგროვდა შეძენილი თუ შექმნილი (მასწავლებლების, მოსწავლეების) რესურსები, რომლებიც მრავალჯერადი გამოყენებისაა და წარმატებით ხდება მათი მოხმარება. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლა უზრუნველყოფილია ყველა იმ საჭირო ინფრასტრუქტურული ერთეულით, რაც ხელს უწყობს სწავლის ინკლუზიური გარემოს შექმნას. სკოლაში არის ინდივიდუალური მერხები. სკოლის შენობას აქვს პანდუსები, ადაპტირებული სველი წერტილები., რესურსოთახი შესაბამისი აღჭურვილობითა და რესურსებით. სკოლას შემუსავებული აქვს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის დოკუმენტი და ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის წესი (დირექტორის ბრძანება N 2-60 (18.06.2025). **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. ამისათვის სკოლაში არსებობს სამკითხველო, სარეკრიაციო სივრცე. სკოლის შემოსასვლელში განთავსებულია საქართველოს დროშა, გერბი და ჰიმნი. აქვე დგას ,,ინიციატივების ყუთი.“ სკოლის ეზოში აღმართულია საქართველოს დროშა. სპორტული სივრცე გამოყენებულია სპორტული შეჯიბრებების ჩასატარებლად. საკლასო ოთახებსა თუ დერეფნების კედლებზე და სივრცეებში ეწყობა მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *ამონაწერი საჯარო რეესტრიდან*
2. *ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნი*
3. *საგნობრივი კურიკულუმი*
4. *კათედრის ოქმები*
5. *ლეპტოპების, პროექტორების, მერხების, დაფების მიღება-ჩაბარების აქტები*
6. *პროექტები*
7. *ფოტომასალა*
8. *ბიბლიოთეკის დებულება*
9. *საინვენტარიზაციო უწყისი*
10. *ბიბლიოთეკაში არსებული რესურსების აღრიცხვის ჟურნალი*
11. *ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნი*
12. *ძირითადი აქტივები*
13. *ბიბლიოთეკაში განთავსებული კომპიუტერისა და პრინტერის ამსახველი ფოტო*
14. *სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია*

ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის წესი (დირექტორის ბრძანება N 2-60 (18.06.2025)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლა უზრუნველყოფილია აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, მუდმივი ინტერნეტით. სკოლაში არსებული IT ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. ადმინისტრაციული მართვა და საქმისწარმოება მთლიანად ინფორმაციული ტექნოლოგიების საშუალებით ხდება. სისტემატურად იყენებენ მასწავლებლები სასწავლო პროცესში ციფრულ ტექნოლოგიებს, ინტერნეტ რესურსებს. მათ გამოყენებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სკოლაში მოქმედი WI FI -ის სისტემის როლი. სკოლას აქვს 11 პერსონალური კომპიუტერი, 2 ლეპტოპი, 6 პრინტერი, 1 პროექტორი. სკოლამ წარმოადგინა დირექტორის მიერ N 2-24 (21.03.2025) ბრძანებით დამტკიცებულია ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორიით სარგებლობის წესი (დებულება), ასევე, წარმოადგინა კომპიუტერული ლაბორატორიის გამოყენების განრიგი. ორივე ეს დოკუმენტი ლაბორატორიებშია გამოკრული. სკოლაში არსებობს დირექტორის N 2-27 ბრძანება კომპიუტერულ ლაბორატორიაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ, რომელიც 2025 წლის 21 მარტსაა დამტკიცებული. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლას აქვს ინტერნეტზე შეუზღუდავი წვდომა, რაც იძლევა საშუალებას IT ინფრასტრუქტურა იყოს ფუნქციონირებადი. დამონტაჟებულია WI FI მოწყობილიბები. ყველა კლასში და სამასწავლებლოში არის ინტერნეტთან წვდომა. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, მათ შორის ლეპტოპები, ინტერნეტი, ქსეროქსის აპარატები მუდმივად, სტაბილურად ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის. მათ აქვთ შესაძლებლობა, ადგილზე მოამზადონ პრეზენტაციები, მოიძიონ საჭირო ინფორმაციები, ამობეჭდონ საჭირო მასალა და ა.შ. სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში არსებული ინფრასტრუქტურის გამოყენებით მასწავლებელს აქვს შესაძლებლობა ელექტრონული ჟურნალი შეავსოს სრულფასოვნად სამუშაო დღის განმავლობაში. სკოლის დირექტორის მიერ 2025 წლის 31 მარტსაა დამტკიცებული N 2-38 ბრძანება ,,მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესის შესახებ.“ ამ წესის მე-4 მუხლში იკითხება კომპიუტერული ლაბორატორიით

სარგებლობის წესი. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ ცალკე წაროდგენილი დირექტორის N 2-24 (21.03.2025) ბრძანებით დამტკიცებული ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორიით სარგებლობის წესის (დებულება) შესაბამისად. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დირექტორის მიერ N 2-24 (21.03.2025) ბრძანებით დამტკიცებული ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორიით სარგებლობის წესი (დებულება)
2. დირექტორის N 2-27 ბრძანება კომპიუტერულ ლაბორატორიაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ (21.03. 2025)
3. კომპიუტერული ლაბორატორიის გამოყენების განრიგი
4. 2025 წლის 27 მარტის MES 8 25 0000345446 წერილი დირექტორის წერილი ტექნიკური აღჭურვილობის მოთხოვნის შესახებ
5. სკოლის დირექტორის მიერ 2025 წლის 31 მარტის N 2-38 ბრძანება - ,,მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“
6. ლაბორატორიების ფოტოები

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს კანონმდებლობის დადგენილი წესით, როგორც ელექტრონულად, ისე - მატერიალურად. სკოლაში მიმდინარეობს გამოცემული აქტების, ხელშეკრულებების აღრიცხვა, შემოსული და გასული დოკუმენტების ელექტრონული აღრიცხვა, პერსონალისა და მოსწავლეების პირადი საქმის წარმოება. სკოლის დირექტორის N2-22 (21.03.2025) ბრძანებით დამტკიცებულია საქმისწარმოების წესი, დირექტორის მიერ გამოცემულია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები. ხდება შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვაც. საქმისწარმოება მიმდინარეობს ელექტრონულად. სკოლის ადმინისტრაციასა და თანამშრომლებს შორისაც ელექტრონული ფორმით მიმდინარეობს საქმისწარმოება. დოკუმენტები ინახება შესაბამისად და რეგისტრირდება სპეციალურ ჟურნალებში. პერსონალისა და მოსწავლის პირადი საქმეები სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. შემოსულ წერილებს პასუხები ეგზავნებათ შესაბამის ვადებში. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

ელექტრონული საქმისწარმოებისათვის სკოლის მართვისას აქტიურად გამოიყენება eflow, eschool და ელექტრონული ფოსტა mes.gov.ge. ყველა თანამშრომელს აქვს წვდომა სამივე საშუალებასთან. eflow, eschool და ელექტრონულ ფოსტაზე teachers.gov.ge საკუთარი გვერდები აქვთ თანამშრომლებს. საჭიროებისას და გადაუდებელი აუცილებლობისას სკოლის სამუშაო შეხვედრები იმართება teams-ის პლატფორმაზე, რაც სკოლამ თვითშეფასების ფორმაში აღნიშნა. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის eschool-ის გადამოწმებამ აჩვენა, რომ ბაზაში ასახულია სკოლის შესახებ ყველა სახის ინფორმაცია. მათ შორის: სკოლის, მოსწავლეთა, მშობელთა, პერსონალთა მონაცემები, სკოლის მიერ შერჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოები, საგაკვეთილო განრიგი, კლასებისა და დამრიგებლების რაოდენობა, სამეურვეო საბჭოს წევრების შესახებ ინფორმაცია, საშტატო განრიგი და ა. შ. სკოლის პროფილი სრულყოფილია. სკოლის გვერდის სრულყოფაზე და სათანადოდ მართვაზე პასუხისმგებელია საინფორმაციო სკოლის საქმისმწარმოებელი. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. ყოველი წლის 10 დეკემბრამდე კონტროლის განმახორციელებელ უწყებასთან სკოლა წარადგენს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ და იღებს შესაბამის უკუკავშირს. არაუგვიანეს 10 დეკემბრისა სკოლის დირექტორი ფინანსური და სასწავლო პროცესის შესახებ ანგარიშს აბარებს სამეურვეო საბჭოს. ასევე, საგანმანათლებლო საქმიანობაში მარეგულირებელი უწყებებიდან მოთხოვნის შემთხვევაში მყისიერად და ეფექტურად ხდება ანგარიშის წარდგენა. ანგარიშის მომზადებაში ჩართულნი არიან შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები და პასუხისმგებელი პირები. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის eschool -ის გვერდი
2. სკოლის eflow -ს გვერდი
3. სკოლის ელექტრონული ფოსტა mes.gov.ge
4. საქმისწარმოების წესი - დირექტორის N2-22. (21.03.2025)
5. ანგარიშები პრეზიდენტს, პრემიერს, პარლამენტის თავმჯდომარეს, სამეურვეო საბჭოს, მრჩეველთა საბჭოს

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით სკოლას აქვს სკოლის დირექტორის 2025 წლის 21 მარტის N 2-17 ბრძანებით დამტკიცებული სკოლის მშობლებთან ურთიერთობის დებულება. სკოლა საზოგადოებასთან საკომუნიკაციოდ იყენებს სოციალურ ქსელს - სკოლის ფეისბუქგვერდს, სკოლის ვებ-გვერდს, ელექტრონულ ჟურნალს, ფოსტას, სატელეფონო კომუნიკაციას, საგანმანათლებლო პლატფორმას Microsoft Teams-ს, რათა სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმის ძირითადი საკითხები გაზიარებული იქნას სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლის შემოსასვლელ ფოიეში, თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც სკოლა რეგულარულად აახლებს ინფორმაციებს. სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები აწყობენ საინფორმაციო შეხვედრებს მოსწავლეთა მშობლებთან, სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების ძირითადი საკითხების გაზიარებისა და განხილვის მიზნით. სკოლას აქვს ვებ-გვერდი, სადაც გასაჯაროებულია ყველა სავალდებულო დოკუმენტაცია. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის მიერ სხვადასხვა არხით გავრცელებული ინფორმაცია არის სანდო და უტყუარი. თუ ინფორმაცია ვრცელდება ოფიციალურად, მათ შორის სოციალური ქსელის სკოლის გვერდზე, ამ ინფორმაციის სანდოობასა და უტყუარობაზე პასუხს აგებს გვერდის ადმინისტრატორი. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლა ინფორმაციის გაცვლისას იყენებს ელექტრონულ ფოსტას, სოციალური ქსელს, დახურულ ჯგუფებს, Teams-ს. ხდება მიღებული ინფორმაციის ანალიზი შემდგომი საქმიანობის უკეთ დაგემვა-განხორციელების მიზნით. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ხშირია საზოგადოებაში არსებულ პრიორიტეტულ თემებზე დაგეგმილი აქტივობები, პროექტები. და ღონისძიებები. დამრიგებლის უფლება-მოვალეობებით განსაზღვრულია მშობლებთან კომუნიკაციის ვალდებულება, რის მიხედვითაც ისინი სისტემატიურად აწვდიან ინფორმაციას მშობლებს და მათგან იღებენ უკუკავშირს. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილი ვებ-გვერდი, სადაც ქართულ ენაზე განთავსებულია ყველა საჭირო ინფორმაცია, რასაც თავად ვებ გვერდი ადასტურებს: https://skolebi.emis.ge/schools/1718?schoolName **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებ გვერდი https://skolebi.emis.ge/schools/1718?schoolName სკოლის შესახებ სრულად შეიცავს შემდეგ ინფორმაციას: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამების სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში და საკონტაქტო ინფორმაცია. ფაქტიურად, სკოლის ძირითადი დოკუმენტებია განთავსებული ვებ გვერდზე. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის დირექტორის 2025 წლის 21 მარტის N 2-17 ბრძანება - სკოლის მშობლებთან ურთიერთობის დებულება
2. სკოლის ვებ გვერდი: **https://skolebi.emis.ge/schools/1718?schoolName**
3. სკოლის საინფორმაციო დაფა
4. სოციალური ქსელის ჯგუფები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის ძირითადი ფინანსური რესურსი არის ვაუჩერული დაფინანსება. შემოსავლების უმნიშვნელოვანესი ნაწილი ხმარდება პერსონალის ხელფასით უზრუნველყოფასა და კომუნალურ გადასახადებს. თუმცა, დარჩენილი თანხა მიმართულია იმ პრიორიტეტებზე, რომელიც სკოლის სამოქმედო გეგმითაა განსაზღვრული. მიუხედავად ნაკლები შემოსავლებისა, სკოლა ახარხებს მინიმალური საჭიროებების დაკმაყოფილებას. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

შესყიდვების გეგმის გათვალისწინებით დირექტორი წარუდგენს და სამეურვეო საბჭო ამტკიცებს მომავალი წლის ბიუჯეტს. სკოლაში თანხების განკარგვა ხდება სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით. წლის მანძილზე შესყიდვების გეგმის განხორციელება და ბიუჯეტის განკარგვა ხდება შესყიდვების ხელშეკრულებების საფუძველზე. 10 დეკემბრამდე დირექტორი ფინანსურ ანგარიშს აბარებს სამეურვეო საბჭოს. მიუხედავად იმისა, რომ შესყიდვების გეგმა და ბიუჯეტი დამტკიცებულია წინა წელს, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია სათანადო წესების დაცვით მასში ცვლილებების შეტანა, რაც უფრო მოქნილს ხდის სკოლის ფინანსურ მართვას. **შესაბამისად, ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის 2025 წლის ბიუჯეტი
2. 2025 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ ბრძანება N 2-53 (18.11.2024)
3. ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის შესახებ ბრძანება N 2-17 (27/11.2023)
4. ფინანსური მონიტორინგის ანგარიში
5. ერთწლიანი სამოქედო გეგმა
6. ბუღალტრის ახსნა-განმარტება სკოლის ფინანსური ანგარიშის შესახებ -MES 6 25 0000413286

7. სამეურვეო საბჭოს ოქმი N 11 (09.12.2024) სკოლის ფინანსური საქმიანობის შეახებ 2024 წლის ანგარიში
8. ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
9. მიღება-ჩაბარების აქტები
10. ანგარიშფაქტურები
11. 2025 წლის სახელმწიფო შესყიდვების კორექტირებული გეგმის დამტკიცების შესახებ ბრძანება N 2-53 (13.06.2025)
12. შესყიდვების კორექტირებაზე უფლებამსილის პირის დანიშვნის ბრძანება N 2-34

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ჩანს, რომ მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა ხორციელდება შინაგანაწესის დოკუმენტში, კურიკულუმში, სადამრიგებლო პროგრამებსა და სკოლის წესდებაში გაწერილი რეგულაციების მიხედვით; წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, სკოლა ვალდებულებად იღებს მოსწავლის პერსონალური ინფორმაციისა და მისი კანონიერი უფლებების დაცვას. ხარისხიანი და ინკლუზიური განათლების მიღებას,

4.1.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის მიერ შემუშავებული რეგულაცია მოსწავლის უფლებებისა და ინტერესების უზრუნველყოფის შესახებ გამჭვირვალეა და გაზიარებული სასკოლო საზოგადოების მიერ, გაზიარების საშუალებებად სკოლა კლასის მოსწავლეების მშობელთა კრებებსა და შესაბამისი ტექსტების საინფორმაციო დაფებზე თვალსაჩინოდ გამოკვრას მიიჩნევს. სკოლას აქვს საკუთარი ვებგვერდი სადაც ხდება გაზიარება. გარდა ამისა, სკოლის კლასების დამრიგებლები და მასწავლებლები მზადყოფნას გამოთქვამენ დაინტერესებულ მხარეებს ყოველთვის მიაწოდონ შესაბამისი ინფორმაცია.

4.1.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მშობელსა და სკოლას შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომელშიც წარმოდგენილია: ხელშეკრულების საგანი; ინფორმაცია სკოლის საქმიანობის შესახებ, მხარეთა უფლება- მოვალეობები; სასწავლო დრო, დასვენების დრო და უქმე დღეები; განსაზღვრულია ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი; დავის გადაწყვეტა და მისი მარეგულირებელი კანონმდებლობა; მოცემული დამატებითი პირობები, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები, ცვლილებების შეტანის უფლებით

4.1.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- მოსწავლის ქცევის კოდექსი;
- მშობელთა გაფორმებული ხელშეკრულება;
- დამრიგებლის ოქმი შინაგანაწესის გაცნობაზე;
- მშობელთან ურთიერთობის დებულება;
- სკოლის საინფორმაციო დაფა;
- ხელშეკრულებები მშობლებთან;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- სოციალური ქსელი;

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;

4.1.2.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს, დროულად ხდება მოსწავლეებისა და მათი მშობლების ინფორმირება.

4.1.2.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის შინაგანაწესი არის ძირითადი დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომისათვის განკუთვნილი სახდელები და წახალისების ფორმები. შინაგანაწესით რეგულირდება მოსწავლის უფლებები და პასუხისმგებლობები. მოსწავლეებთან მიმართებაში სკოლის შიდა პოლიტიკის რეგულაციები ამომწურავად არის მოცემული; მიდგომა არის არადისკრიმინაციული, დაცულია თანასწორობის პრინციპები და გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას;

4.1.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლას აქვს საზოგადოების ინფორმირებისა და მის წინაშე ანგარიშგების ეფექტიანი მექანიზმი. სკოლის დირექციის, მასწავლებლების, დამრიგებლების მიერ სისტემატიურად ხდება საზოგადოების ინფორმირება სკოლაში მიმდინარე

პროცესებზე. სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლას აქვს თავისი ვებგვერდი და საკუთარი Facebook გვერდი, სადაც მუდმივად შუქდება ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ.

4.1.2.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- მშობელთა თანხმობის ფორმა;
- მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების ბრძანება;
- მშობელთა კრებების ოქმები ;
- სოციალური ქსელი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს გარემოსთან მოსწავლის ადაპტაციის მექანიზმები, რომელიც გულისხმობს რომ მოსწავლის, მათ შორის სსსმ მოსწავლის, სკოლაში შესვლის/გადასვლის პროცესი იყოს მაქსიმალურად უმტკივნეულო და მომზადებულად წარიმართოს სკოლის შინაგანაწესისა და სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით.

4.2.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციას ხელი უნდა შეუწყონ კლასის დამრიგებლებმა და მასწავლებლებმა. ამისათვის სკოლის დამრიგებლები და ადმინისტრაცია უზრუნველყოფს შეხვედრებს მშობლებთან. სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი მერხებითა და სკამებით, პირველადი საჭიროების სივრცეებით: ექიმის კაბინეტი, სპორტ დარბაზი, რესურს ოთახი.

4.2.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისათვის მასწავლებლები იყენებენ დიაგნოსტიკურ ტესტებს, შემაჯამებელი დავალების ანალიზებს, დამრიგებლის სემესტრულ და წლიურ ანგარიშებს, განმავითარებელ შეფასებას და უკუკავშირს; ინდივიდუალურ შეხვედრებს მშობლებთან. სკოლა ზრუნავს სსსმ მოსწავლეთა უნარების განვითარებაზე, ამ მიზნით, მოწყობილია რესურს ოთახი, რომელიც კარგად არის აღჭურვილი და ეძლევა საშუალება სსსმ მოსწავლეს, მიიღოს საჭირო მხარდაჭერა. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად; მათთვის ხელმისაწვდომია კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია საკმარისი რაოდენობის კომპიუტერებით. სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რომელშიც დიდი წილი ქიმიისა და ბიოლოგიის მიმართულებით არსებულ თვალსაჩინოებაზე მოდის. კათედრასთან შეხვედრის დროს გამოიკვეთა, რომ ქიმიაში აქვთ რეაქტივები, შესაბამისი ლაბორატორიული ჭურჭელი და როგორც მასწავლებელმა აღნიშნა, ხშირად ატარებს შესაბამის ექსპერიმენტებს, რაც მოსწავლეთა დაინტერესებასა და აკადემიური მოსწრების ხარისხზე აისახება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

შემოსული და გასული წერილების შესწავლის, სკოლის ადმინისტრაციასა და პედაგოგებთან გასაუბრების მიხედვით, სკოლა გონივრულ და კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ახდენს რეაგირებას მოსწავლეთა თვითმმართველობისა თუ მოსწავლის ინდივიდუალური მიმართვაზე, მოსწავლის მშობლის განცხადებასა თუ კლასის მშობლების ისეთ შეთავაზებებზე, რომელთა მიზანიც მოსწავლის/მოსწავლეების უფლებების რეალიზების ხელშეწყობაა.

4.2.1.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, პერსონალთან გასაუბრების, სკოლის კედლებზე გამოფენილი და საავტორიზაციო განაცხადში წარმოდგენილი ფოტო მასალის მიხედვით, სკოლა აქტიურად უწყობს ხელს მოსწავლეთა ინიციატივების წახალისებასა და არაფორმალური განათლების ელემენტების ჩართვას ყოველდღიურ სასკოლო ცხოვრებაში. აღნიშნული აქტივობები თემატიკით შეესაბამება სკოლის ასაკობრივ ჯგუფებს. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ ჩამოყალიბებული კლუბების ფუნქციონირებას:

1. სამოქალაქო განათლების კლუბი- "აქტიური მოქალაქე";
2. ინგლისური ენის - "Gvimaroni English Club".

მოსწავლეები აქტიურად არიან ჩაბმულნი კლუბურ მუშაობაში, რაც ბავშვებს უზრდის შემეცნების დონეს, ავითარებს მათი გუნდური მუშაობის, კვლევის, სხარტი აზროვნების, სწორად მეტყველების, არგუმენტირებული მსჯელობის უნარებს.

4.2.1.4. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სკოლა მუდმივად იღებს უკუკავშირს მშობლებისა და მოსწავლეებისგან, როგორც ზეპირსიტყვიერად, ასევე კითხვარების შევსების საფუძველზე. სკოლაში ჩატარებული სასკოლო თუ საკლასო კვლევების დასკვნების საფუძველზე იგეგმება საჭირო ინტერვენციები, რომლებიც მჭიდრო კავშირშია მოსწავლეთა საჭიროებების დადგენასა და მომსახურეობის გაუმჯობესებასთან.

4.2.1.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებული

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადაპტაციის დოკუმენტი;
- რესურს ოთახის ფოტო;
- ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმის წესი;
- კლუბური მუშაობა;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- თვითმმართველობის ოქმები;
- პროექტები საფეხურების მიხედვით.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლა ზრუნავს მოსწავლეთათვის კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურეობასა და ხელმისაწვდომობაზე. სკოლა ხელს უწყობს პროფესიულ ორიენტაციასა და კარიერულ დაგეგმვას. სადამრიგებლო საათზე საუბრობენ სამომავლო პროფესიებზე. სკოლას გაფორმებული აქვს მოსწავლეთა კარიერული დაგეგმისთვის მემორანდუმი შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული პროფესიული განათლების სენაკის ცენტრთან. მემორანდუმი მიზნად ისახავს მოსწავლეებში პროფესიული უნარების გამომუშავებას და კარიერულ დაგეგმარებაში მოტივაციას.

4.2.2.1.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

4.2.2.2.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს ზეპირი გასაუბრების საფუძველზე.

4.2.2.3. ინდიკატორის დაკმაყოფილებული

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვის მემორანდუმი;

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას თითოეული სსსმ მოსწავლისათვის (სულ 2 მოსწავლე) შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ქმნის ამ მიზნით დამტკიცებული ისგ ჯგუფი. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი ჩასატარებელი აქტივობები, დრო და პასუხისმგებელი პირები. სსსმ მოსწავლეებისთვის დგება თითოეულზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლებსაც სპეციალური და სხვა საგნის მასწავლებლები ერთობლივად ადგენენ. ისინი ეცნობიან მოსწავლეების შესახებ მულტი დისციპლინური გუნდის წერილობით დოკუმენტებს, გადიან კონსულტაციებს მშობლებთან, უშუალოდ აკვირდებიან მოსწავლეებს და არკვევენ, თუ რა სფეროები საჭიროებს გაუმჯობესებას და მოსწავლეების რომელი ძლიერი მხარეების გამოყენება იქნებოდა შესაძლებელი ამისთვის. ამის შემდეგ ხდება გრძელვადიანი (წლიური) მიზნების განსაზღვრა. ამ მიზნების მისაღწევად ისახება უფრო კონკრეტული მოკლევადიანი მიზნები. მოსწავლეების შეფასება ხორციელდება მათ ინდივიდუალურ სასწავლო მიზნებთან მიმართებაში, იმის მიხედვით, მიაღწიეს თუ არა ბავშვებმა დასახულ კონკრეტულ შედეგს. სპეციალური მასწავლებელი ახორციელებს ინდივიდუალური გეგმის მონიტორინგს. სკოლას ყავს სპეც მასწავლებელი, რომელიც ყოველდღიურად ამყარებს აქტიურ კომუნიკაციას სსსმ მოსწავლის მშობლებთან პირისპირ, სატელეფონო ზარითა თუ მესენჯერის საშუალებით, აცნობს საკუთარი შვილის ყოველდღიურ მიღწევებსა თუ გამოწვევებს. კლასის დამრიგებლებიც მესენჯერის ჯგუფების საშუალებითა თუ სატელეფონო ზარებით აწვდიან სხვადასხვა სახის ინფორმაციას მშობლებს, სპეციალური მასწავლებელი და კლასის დამრიგებელი ერთმანეთთან ამყარებენ აქტიურ კომუნიკაციას და აჯერებენ კონკრეტული სსსმ მოსწავლის სასწავლო დღეს.

4.2.3.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სასკოლო საზოგადოება ჩართულია სსსმ მოსწავლეების სასკოლო ცხოვრებასთან ინტეგრაციის პროცესში. რესურს ოთახი მოაწყო საჭირო ინვენტარით და გაამდიდრა სასწავლო მასალით. სსსმ მოსწავლეებთან ეფექტური სასწავლო პროცესის წარმართვისათვის განსაზღვრულია ისგ ჯგუფის შემადგენლობა და ყველა ეტაპზე აწარმოებს სწავლა–სწავლებისა და დოკუმენტაციის მონიტორინგს. საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს მშობლებთან/მეურვესთან კომუნიკაციას. სასწავლო პროცესი სსსმ მოსწავლეებისათვის არის მათ საჭიროებებზე მორგებული, შექმნილია პოზიტიური და მხარდამჭერი გარემო როგორც მასწავლებლების, ასევე მოსწავლეების მხრიდან. დამრიგებლები წინასწარ ამზადებენ კლასს სსსმ მოსწავლეების მისაღებად, სწორი დამოკიდებულებების ჩამოსაყალიბებლად და ამ საკითხებზე ესაუბრებიან მშობლებსაც. ბავშვები და მასწავლებლები სსსმ მოსწავლეებს ეხმარებიან

სკოლის გაცნობაში, კლასთან ადაპტირებაში. სსსმ მოსწავლეთა აღზრდას სკოლაში ემსახურება 1 სპეციალური მასწავლებელი იგი თანამშრომლობს დანარჩენ მასწავლებლებთან, მშობლებთან და ხელს უწყობს პოზიტიური გარემოს ჩამოყალიბებას. ერთობლივად გეგმავენ ღონისძიებებს, რომლებშიც აქტიურად რთავენ სსსმ მოსწავლეებს. მათი ნაშრომები გამოფენილია რესურს ოთახში.

4.2.3.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის ბრძანება და ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის ოქმი;
- სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმი;
- ისგ გეგმები და ოქმები;
- სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება;
- მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების ფორმა;
- ინტერვენციის გეგმა საგნების მიხედვით;
- შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა;
- რესურს ოთახის სურათები, მოსწავლეთა აქტივობების ამსახველი ფოტო მასალა;

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

დამატებითი მომსახურების მიზნით სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს სატრანსპორტო მომსახურებას.

4.2.4.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი,სატრანსპორტო მომსახურება ხორციელდება კანონის შესაბამისად, ნებაყოფლობის პრინციპით. სკოლის მიერ განხორციელებული არასავალდებულო მომსახურება ხელს უწყობს მოსწავლეთა უსაფრთხო გადაადგილებას სკოლაში და სკოლიდან შინ.

4.2.4.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სატრანსპორტო მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

4.2.4.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მძღოლის მონაცემები და ტაბელი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

დოკუმენტური მასალისა და გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა ავითარებს კურიკულუმს ისეთი მეთოდოლოგიის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის (მოსწავლეები, პედაგოგები, ადმინისტრაცია, მშობლები) ინტერესებს, შეხედულებებსა და შესაძლებლობებს. კურიკულუმის განახლებისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების (მოსწავლეები, პედაგოგები, მშობლები) მოსაზრებები. კურიკულუმში ასახულია მოსწავლეთა საჭიროებები, სკოლა იყენებს შეფასებისა და უკუკავშირის მექანიზმებს.

2.1.1.1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

წარმოდგენილი დოკუმენტებისა და გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, მათ შორის პედაგოგები, ადმინისტრაცია და ნაწილობრივ მშობლებიც. პროცესში მონაწილეობა ხორციელდება პედაგოგიური საბჭოს, საგნობრივი კათედრების მეშვეობით. გადაწყვეტილებები მიიღება კოლეგიალური განხილვის საფუძველზე.

2.1.1.2.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლას გაზიარებული აქვს სასკოლო კურიკულუმი პედაგოგიურ საბჭოზე; მშობლებს მიეწოდათ ინფორმაცია სხვადასხვა ფორმით, როგორც მშობელთა კრებებზე, ასევე სპეციალური ჩატების საშუალებით; მოსწავლეები ინფორმირებული არიან თავიანთი საგნობრივი და კლასგარეშე აქტივობების არჩევანის შესაძლებლობებზე. ინფორმაციის გაზიარება ხდება აგრეთვე, სკოლის საზოგადოებრივ საინფორმაციო დაფაზე და სკოლის ვებგვერდზე.

2.1.1.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მეთოდოლოგია;
- პედაგოგიური საჭოს ოქმი;
- კათედრის ოქმები;
- მშობელთა კრების ოქმი;
- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- საინფორმაციო დაფა;
- სკოლის ვებგვერდი

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმების განხორციელებისას მასწავლებლებს გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად დაგეგმილი აქვთ კომპლექსური დავალებებით სწავლება. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კათედრა კომპლექსური დავალებების შექმნისას ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას, გამოცდილებას, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში შესასწავლი საკითხის მიმართ ინტერესის და ცნობისმოყვარეობის გაზრდას. სკოლა ხელს უწყობს კომპლექსურ

	დავალებაზე მუშაობით მოსწავლეებს განუვითარდეთ კრიტიკული, შემოქმედებითი აზროვნება და პრობლემების გადაჭრის უნარი. **2.1.2.1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	დაწყებით საფეხურზე III – IV კლასებში საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის საგნობრივი ჭრილიდან გათვალისწინებულია საგანი ,,მე და საზოგადოების“. V – VI კლასებში ,,ჩვენი საქართველოს“, საბაზო საფეხურზე ,,ისტორიის“; ,,მოქალაქეობისა“ ,,გეოგრაფიისა“ და ,,საქართველოს გეოგრაფიის“, საშუალო საფეხურზე კი სავალდებულო საგნების - ,,საქართველოს ისტორიის“; ,,მსოფლიო ისტორიის“; ,,მოქალაქეობისა“ და ,,გეოგრაფიის“ სწავლება. აღნიშნული საგნის სწავლების დაგეგმვა და განხორციელება ხდება წინასწარ შედგენილი კურიკულუმის საშუალებით. აღნიშნული დოკუმენტი კი შექმნილია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე, მასწავლებელთა შორის ურთიერთ თანამშრომლობის შედეგად. შემუშავებული კურიკულუმი ნათლად ავლენს იმ გარემოებას, რომ საგნის კურიკულუმები ნათლადაა ორიენტირებული სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებზე. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო ნათელი დადასტურებაა იმასა, რომ კურიკულუმები არის მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და მოსწავლის / მოსწავლეების განვითარების შესაძლებლობებზე მიზნობრივად ორიენტირებული. აღნიშნული საგნის კურიუკულუმის მიზნობრიობა და ორიენტირება არის სრულ შესაბამისობაში სკოლის საერთო ღირებულებებსა და ფასეულობებთან. სკოლისა და მათ შორის საზოგადოებრივი კათედრის ორიენტირებს მკაფიოდ განსაზღვრავს და ასახავს სასკოლო სასწავლო გეგმა, კურიკულუმის შემუშავების მექანიზმი და საგნობრივი სტანდარტის საფუძველზე შექმნილი კურიკულუმი. **2.1.2.1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის საქმიანობა მიზნად ისახავს მოსწავლეზე ორიენტირებული განათლების უზრუნველყოფას. **რჩევა:** სასურველია, რომ დაგეგმვისას უცხოური ენების კათედრის ყველა წევრი დაეყრდნოს ერთიან, შეთანხმებულ ჩარჩოს, რომელიც უზრუნველყოფს თანმიმდევრულობასა და სისტემურობას.

	2.1.2.1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრაზე სამივე საფეხურზე სკოლის მირ შემუშავებული სასკოლო კურიკულუმები, კათედრაში შემავალ ორივე საგანში, სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების მნიშვნელოვან გზას. კურიკულუმებში ჩანს სამიზნე ცოდნისა და მოსწავლისთვის საჭირო უნარების განვითარების შესაძლებლობა, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. მოიცავს კრიტიკული აზროვნების, თანამშრომლობისა და პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარების გზას. შესაბამისობაშია სკოლის საერთო ღირებულებებსა და ფასეულობებთან. მოსწავლეზე ორიენტირებული კურიკულუმი უზრუნველყოფს პოზიტიურ სასწავლო გარემოს, რაც აუმჯობესებს მოტივაციასა და სწავლის ხარისხს. **2.1.2.1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	შემუშავებული სასკოლო კურიკულუმები სამივე საფეხურზე წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების მნიშვნელოვან გზას. იგი მიზნად ისახავს თითოეული მოსწავლის უნარების, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით სწავლის პროცესის ორგანიზებას. კურიკულუმი ხელს უწყობს ცოდნის სისტემურ გადაცემას და სწავლების მიზანმიმართულობას. ასევე, ის ქმნის შესაძლებლობას მრავალფეროვანი თემებისა თუ შემაჯამებელთა იდეების საფუძველზე მოსწავლემ გაიღრმავოს ცოდნა. მოსწავლეზე ორიენტირებული კურიკულუმი უზრუნველყოფს აქტიურ სწავლის გარემოს, რაც აუმჯობესებს მოტივაციასა და სწავლის ხარისხს. იგი ასახავს თანამედროვე მოთხოვნებს, მათ შორის კრიტიკული აზროვნების, თანამშრომლობისა და პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებას. **2.1.2.1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა	მათემატიკის კათედრაზე, სამივე საფეხურზე, გამოიკვეთა სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, რაზეც პედაგოგებმა ისაუბრეს შეხვედრის დროს. სამივე საფეხურზე წარმოდგენილი მათემატიკის კურიკულუმების ჩარჩოში შევსებულია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, საკითხთა კლასტერი, შესაბამისი

	რესურსებით; ასევე კომპლექსური ტიპის დავალებების იდეები და კონტექსტ მაგალითები. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ შუალედური მიზნები და სასწავლო შინაარსი ეყრდნობა მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილ მოსწავლეთა ინტერესებს, საჭიროებებს და შესაძლებლობებს. დაწყებით საფეხურზე მე-2 და მე-3 კლასების კურიკულუმებში კონტექსტ მაგალითის სვეტში იყო მოცემული საკითხების ჩამონათვალი და - პირიქით, მასწავლებლებს ინტერვიუს დროს მიეცათ რეკომენდაცია აღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებლად, სკოლამ ჩასწორებული კურიკულუმები გადმოაგზავნა მითითებულ დროში. **2.1.2.1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სპორტი	კათედრებზე შემუშავებული კურიკულუმები, მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას წარმოადგენს. სამიზნე ცნებები, რომლებიც გრძელვადიან მიზნებს აზუსტებს, გამოდინარეობს საგნობრივი სტანდარტის შედეგებიდან, რაც საფეხურის ბოლოს უნდა იქნეს მიღწეული. გაწერილი თემები, აქტივობები, საკითხები, ცნებები და ქვეცნებები მოსწავლ საგნობრივ ცოდნას აძლევს თითოეული თემიდან გამომდინარე, ხოლო გათვალისწინებულ კომპლექსური დავალებები მოსწავლის გააქტიურებას განაპირობებს. **2.1.2.1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმებში გაწერილია ძირითადი მიმართულებები, თემატური საკითხები და სამიზნე ცნებები, რაც ხელს უწყობს სწავლის მიზანმიმართულ წარმართვას. კომპლექსური დავალებების იდეები უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ ახალი ცოდნის დაკავშირებას წინარე ცოდნასთან და გამოცდილებასთან, რაც ამაღლებს სწავლის მოტივაციას და ხელს უწყობს მოსწავლეებში შემოქმედებითი, კრიტიკული და პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებას. კურიკულუმი საფეხურებრივად მოიცავს ყველა აუცილებელ თემას II-VI კლასებისათვის. დოკუმენტაციის და სასკოლო სასწავლო გეგმის ანალიზი, ასევე განხორციელებული პრაქტიკა აჩვენებს, რომ სკოლასა და მასწავლებელს აქვს საჭირო მზაობა სწავლის პროცესის ეფექტურად დაგეგმვისა და გრძელვადიანი მიზნების მიღწევისკენ ორიენტირებისათვის. შედეგად, იქმნება ისეთი გარემო, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა შესაძლებლობების გამოვლენას და სწავლის პროცესში ჩართულობას. **2.1.2.1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კათედრის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო წარმოადგენს მესამე თაობის ესგ-ს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებსა და საშუალებებს, მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისათვის. კურიკულუმის ჩარჩო ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, კურიკულუმებში გაწერილია თემები საგნობრივი სტანდარტების მიხედვით, გრძელვადიანი მიზნები და შუალედურ მიზნებად მოაზრებულია კომპლექსური დავალებები, შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით. **2.1.2.1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმები სამივე საფეხურზე მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე. ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად, განსაზღვრულია სავალდებულო თემები, თემებში საკითხების საშუალებით მუშავდება სამიზნე ცნებები. თუმცა, რიგ შემთხვევებში იკვეთება მცირე უზუსტობებიც. ამის მიუხედავად, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ესგ -ს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შედეგები, ყველა სამიზნე ცნება და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, რომლებსაც გაითვალისწინებენ მომდევნო სასწავლო წელს კურიკულუმების შემუშავებისას. შერჩეული კომპლექსური დავალებების დამუშავება შესაძლებლობას მისცემს მოსწავლეს განუვითარდეს ფუნქციურ-კომპონენტური უნარები. კურიკულუმები შემუშავებულია ისე, რომ ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების ((კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა) განვითარებას. მტკიცებულებად წარმოადგინეს კომპლექსური დავალების მატრიცები, სადაც გათვალისწინებულია ისეთი კომპლექსური დავალების პირობები და განსახორციელებელი აქტივობები (მაგ: პრეზენტაცია, საინფორმაციო ბუკლეტის დამზადება, ვირტუალურ ლაბორატორიაში მუშაობა , პოსტერების შექმნა, სტატიის დაწერა, მოდელის დამზადება, ბუკლეტის შექმნა..),რომლებიც გათვლილია გრძელვადიან მიზნებზე და

	ავითარებს მოსწავლის გლობალურ-ფუნქციურ უნარებს. ამ უნარების განვითარებას ასევე ხელს უწყობს პროექტებში მოსწავლეთა აქტიური ჩართულობა (ქიმიაში განახორციელეს პროექტი ,,ფილოსოფიური ქვა და ჰარი პოტერი-ქიმია ჯადოქრობის მიღმა“) მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ პროექტზე მუშაობის პროცესში მოსწავლეებმა განივითარეს თანამშრომლობითი კვლევითი, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარები. **2.1.2.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჭრილის საგნის სწავლება სრული შესაბამისობითა და თანხვედრით ხორციელდება და განხორციელდება მომდევნო სასწავლო წელსაც, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებზე დაყრდნობით. სწორედ მიზნებთან მიმართებით ყალიბდება ის საკითხები, რაც სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ძირითად ორიენტირს წარმოადგენს. ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით, იგეგმება და განხორციელდება საგნის სწავლებისას სავალდებულო თემების გავლით სასწავლო პროცესი. სავალდებულო თემის ფარგლებში კომპლექსური დავალებების ფორმატით დამუშავება ხორციელდება მთელი სასწავლო წლის მანძილზე და კომპლექსური დავალებების დამუშავებით მოცული არის საგნისათვის გათვალისწინებული ყველა ცნება. ყველა სახის დავალება კი მოიაზრებს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების, ფაქტისა და მოვლები ანალიზის, იდეების გენერირებასა და ორგანიზებას, შეხედულებებისა და მოსაზრებების დაცვას, დასკვნის გამოტანას, არგუმენტის შეფასებას და პრობლემის უნარის გადაჭრის უნარის განვითარებას. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ნათლადაა ასახული საგნის კურიკულუმსა და სასკოლო სასწავლო გეგმაში. **2.1.2.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	მასწავლებლები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისას ხელმძღვანელობენ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნებითა და პრინციპებით.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკურ აღზრდაში შემავალი მუსიკისა და სახვითი ხელოვნების საგნების სწავლება სამივე საფეხურზე ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებზე დაყრდნობით. სავალდებულო თემატური ბლოკებიდან, სამიზნე ცნებებიდან გამომდინარე ყალიბდება საგნობრივი საკითხები, რაც სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ძირითად ორიენტირს წარმოადგენს. საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. მოიცავს შემოქმედებითი ტიპის დავალებებს, რომელიც თავისთავად

	მოიაზრებს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების, იდეების გენერირების, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, პრობლემის გადაჭრის უნარის განვითარებას. **რჩევა:** სასურველია, სკოლამ გაითვალისწინოს, რომ საბაზო და საშუალო საფეხურის ხელოვნების კურიკულუმში, ისევე ჩანდეს სავალდებულო თემატური ბლოკის, საკითხის, თემისა და შემოქმედებითი ტიპის დავალების შინაარსობრივი მიმართებები, როგორც ჩანს ხელოვნების დაწყებით საფეხურზე და მუსიკის სამივე საფეხურზე. **2.1.2.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	**სამივე საფეხურზე მოსწავლეზე ორიენტირებული სასკოლო კურიკულუმი** წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვისა და განვითარების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს. ის მიზნად ისახავს სწავლების ორგანიზებას თითოეული მოსწავლის უნარების, ინტერესებისა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. კურიკულუმი უწყობს ხელს ცოდნის სისტემურ გადაცემას და სწავლების პროცესის მიზანმიმართულ განვითარებას. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. მასზე დაყრდნობით ითვალისწინებს მოსწავლეთა შესაძლებლობებს, სამიზნე ცნებებს. აღნიშნული გათვალისწინებულია კურიკულუმებში და შესაბამისად არის დაგეგმილი სასწავლო პროცესი. ამასთანავე, ე.ს.გ-ზე დაწყრდნობით შემუშავებული კურიკულუმი ქმნის საფუძველს, რომ მოსწავლემ სხვადასხვა თემატიკასა და შემაჯამებელ იდეებზე დაყრდნობით გაიღრმავოს ცოდნა. მოსწავლეზე ორიენტირებული, სამიზნე ცნებების გათვალისწინებით დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სწავლების აქტიურ გარემოს, რაც ზრდის მოტივაციას და აუმჯობესებს სასწავლო შედეგებს. კურიკულუმი ასახავს თანამედროვეობის მოთხოვნებს და ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების, თანამშრომლობისა და პრობლემის გადაჭრის უნარების ჩამოყალიბებას. **2.1.2.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა	მთავარი დოკუმენტი, რომელსაც სამივე საფეხურის სასკოლო კურიკულუმი ეყრდნობა არის ეროვნული სასწავლო გეგმა. სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. ძირითადად გამოკვეთილია, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად თემატური ბლოკების ფარგლებში, სადაც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის შედეგი და გრძელვადიანი სამიზნე ცნებები და მასთან დაკავშირებული ქვეცნებები.

	კომპლექსური დავალების პირობები მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს. წარმოდგენილი კონტექსტ მაგალითები იძლევა მოსწავლის დაფიქრებისა და წინარე ცოდნის გააქტიურების საშუალებას. მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის თეორიაზე დაყრდნობით. საგნობრივი კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებაზე. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ სკოლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ პროექტების განხორციელებაში. **2.1.2.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სპორტი	წარმოდგენილი კურიკულუმები სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს. გათვალისწინებული საგნობრივი პროგრამა იძლევა სამიზნე ცნებებამდე მისვლის საშუალებას. ხოლო თემები, აქტივობები, საკითხები, დავალებები და სხვა დამატებითი რესურსები მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობას უწყობს ხელს, ორიენტირებულია მის პიროვნულ განვითარებაზე და ფუნქციური უნარების დახვეწას უწყობს ხელს. **2.1.2.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნისთვის შემუშავებული კურიკულუ მის ჩარჩო (მე-2დან მე-6 კლასის ჩათვლით) მკაფიოდ უკავშირდება ეროვნული სასწავლო გეგმ გრძელვადიან მიზნებს. ეს მიზნები ასახულია როგორც სამიზნე ცნებებსა და თემატურ საკითხებში, ასე კომპლექსური დავალებების იდეებში. დავალებათა შინაარსი ხელს უწყობს მოსწავლეებში კრიტიკულ და შემოქმედებითი აზროვნების, ასევე ციფრული მოქალაქეობის უნარების განვითარებას. ნათლა იკვეთება მასწავლებელთა გააზრებული მიდგომა საგნის მნიშვნელობის მიმართ, რაც უზრუნველყოფ საგნობრივი სტანდა **2.1.2.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, ქვეცნებებსა და საგნობრივ საკითხებს შორის. მასწავლებლებმა სავალდებულო თემების მიხედვით განსაზღვრული აქვთ გრძელვადიანი მიზნები - სამიზნე ცნებები. ინტერვიუის დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა სასწავლო პროცესის ამგვარად წარმართვისა. **2.1.2.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ, სწავლა- სწავლების პროცესში იყენებენ ვიზუალურ, ციფრულ მასალებს, ვირტუალურ ლაბორატორიებს, რომლებიც უზრუნველყოფენ კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო მიზნების და შედეგების მიღწევას. აღსანიშნავია, რომ რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკის, ინტერესების გათვალისწინებით, გააჩნიათ ქიმიური ცდების ჩასატარებელი ლაბორატორიული სინჯარები და რეაქტივები, თუმცა ფიზიკის სწავლებისთვის საჭირო ლაბორატორიული ხელსაწყოები სკოლას არ გააჩნია. **რჩევა**: რადგან საბუნებისმეტყველო საგნების მიხედვით კეთებითი სწავლება გულისხმობს რეალურ ლაბორატორიულ სამუშაოებს, სასურველია აღიჭურვოს ლაბორატორია ფიზიკის სწავლებისთვის საჭირო რესურსებით. **2.1.2.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერების მიერ სასწავლო პროცესისას გამოყენებული რესურსები (სახელმძღვანელოები, თემატური რუკები, ინტერნეტ პორტალის ლინკები და სხვა ისეა წარმოდგენილი, რომ ისინი მკაფიოდ შეესაბამება კურიკულუმით გათვალისწინებულ თემასა და საკითხებს. მათი შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლის / მოსწავლეების ასაკობრივი, გონებრივ - ინტელექტუალური შესაზლებლობები და საჭიროებები და რაც მთავარია ისინი სრულად უზრუნველყოფენ კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების საბოლოო შედეგის დადგომას.

	რესურსების გამოყენებისას მოსწავლეებს აქვთ მკაფიოდ განსაზღვრული ინსტრუქციები და რეკომენდაციები. **2.1.2.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო მასალები, ხელს უწყობს მოსწავლის მიერ დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას. **რჩევა:** სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწონილია, კათედრას ჰქონდეს საკუთარი აუდიო-ვიდეო მოწყობილობა შესაბამისი ციფრული რესურსებით და ასევე, შეიქმნას ერთიანი რესურსების ბანკი, რომელიც უზრუნველყოფს მასალების სისტემატიზაციასა და გაზიარებას. **2.1.2.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ წარმოდგენილია სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსები: სახელმძღვანელოები, ციფრული რესურსები, მხატვართა ალბომები, დასაკრავი და დასარტყმელი ინსტრუმენტების ამსახველი ალბომები, ინტერნეტ ლინკები და სხვ. ჩამონათვალი. სამივე საფეხურზე შეესაბამება კურიკულუმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს მოსწავლეთა ასკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. რესურსების გამოყენებისას მოსწავლეებს ეძლევათ მკაფიოდ განსაზღვრული ინსტრუქციები და რეკომენდაციები და შესაბამისად პედაგოგები წარმატებით ახორციელებენ მათ ინტეგრაციას სასწავლო პროცესში **2.1.2.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	კრიტერიუმი სკოლის მიერ დაკმაყოფილებულია სამივე საფეხურზე. კურიკულუმში გათვალისწინებული რესურსები – მათ შორის სასწავლო, ვიზუალური და ციფრული მასალები, ასევე თემატურად შერჩეული დამატებითი წყაროები – ეფექტურად ემსახურება მოსწავლეთა მიერ სასწავლო მიზნებისა და შედეგების მიღწევას. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რესურსები შერჩეულია მოსწავლეების ასაკობრივი თავისებურებებისა და ინტერესების გათვალისწინებით. პედაგოგები წარმატებით ახორციელებენ მათ ინტეგრაციას სასწავლო პროცესში, რაც ხელს უწყობს არა მხოლოდ აკადემიური მიღწევების, არამედ სოციალური და კრიტიკული აზროვნების უნარების გაღრმავებას. **რჩევა:** სასურველია, სკოლამ გააძლიეროს რესურსების მრავალფეროვნება, განსაკუთრებით პროექტული და კომპლექსური დავალებების დაგეგმვისა და განხორციელების ნაწილში. მიუხედავად

	იმისა, რომ კურიკულუმში მითითებულია ზოგადი სასწავლო რესურსები, პროექტული/კომპლექსური აქტივობებისთვის წარმოდგენილი რესურსები ან ძალიან მწირია, ან საერთოდ არ არის ასახული. ამიტომ სასურველია, რესურსების ნაწილი დაიხვეწოს ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს მოსწავლეთა სიღრმისეული ჩართულობა და შემოქმედებითი საქმიანობის ფართო შესაძლებლობები. **2.1.2.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა	კურიკულუმებში წარმოდგენილი რესურსები, ხელს უწყობენ მოსწავლის მიერ სასწავლო მიზნების მიღწევას. გათვალისწინებულია მრავალფეროვანი, ასაკისა და მზაობის შესაბამისი რესურსები. მასწავლებლები მიზნის მისაღწევად აქტიურად იყენებენ სხვადასხვა საგანმანათლებლო პლატფორმებს და სხვადასხვა ინტერნეტ რესურსებს, რომელთა ბმულებისც მრავლად არის წარმოდგენილი თითქმის ყველა კლასის მათემატიკის კურიკულუმში, პედაგოგებთან გასაუბრების დროს მათ აღნიშნეს, რომ კლასებში მოსწავლეთა სიმცირის გამო პრობლემას არ წარმოადგენს ვიდეორგოლების ტელეფონის საშუალებით ჩვენებაც. სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, მე-4 და მე-5 კლასებში აქტიურად იყენებენ დამხმარე სახელმძღვანელოებსაც. **2.1.2.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში და დოკუმენტებში ასახული საგანმანათლებლო რესურსები: სახელმძღვანელოები, პოსტერები, თვალსაჩინოებები, განხორციელებული სპორტული აქტივობები, ონლაინ რესურსები, ორიენტირებულია მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, ხელს უწყობს მოსწავლის სწავლა-სწავლების აქტიურ პროცესში ჩართვას და უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას. **2.1.2.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნისთვის შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩო (II-VI კლასი) მოიცავს სხვადასხვა ტიპის რესურსს, რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლეთა მიერ სასწავლო შედეგების მიღწევას. დოკუმენტში წარმოდგენილია როგორც ძირითადი, ასევე

	დამატებითი ციფრული ხელსაწყოები, რომლებსაც პედაგოგები იყენებენ სწავლების პროცესში. ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებელი ძირითადად ეყრდნობა პლატფორმა **school.emis.ge**-ზე წარმოდგენილ რესურსებს, **რჩევა** სასურველია, სასწავლო პროცესში მასწავლებლებმა გამოიყენონ დამატებითი ელექტრონული წყაროები და ციფრული პლატფორმები . **2.1.2.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასკოლო კურიკულუმებში ძირითადად წარმოდგენილი აქვთ სახელმძღვანელოები, ელექტრონულ და ბეჭდურ რესურსები, რომლებსაც იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში. კურიკულუმში ჩანს რომ მასწავლებლები მიზნის მისაღწევად იყენებენ მიზნობრივ და მრავალფეროვან რესურსებს.

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომების გათვალისწინებით. განსხვავებული შინაარსის კომპლექსური დავალებები, მრავალფეროვანი მეთოდები და სტრატეგიები, სხვადასხვა შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც უნდა შექმნან მოსწავლეებმა კომპლექსური დავალებების ფარგლებში, ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია გრძელვადიანი და შუალედური მიზანი, გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ იცნობენ დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპებს და ცდილობენ გამოიყენონ ეს მიდგომები სწავლა-სწავლების დაგეგმვის პროცესში. თვლიან, რომ თითოეული მოსწავლე განსხვავებულია თავისი უნარ-ჩვევებით, სწავლის სტილით , ინტერესით. მაგალითად, მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა შემოქმედებითი პროდუქტი წარმოადგინონ მათთვის სასურველი ფორმით (საპრეზენტაციო ფურცელზე, ელექტრონული ფორმით).

	რჩევა: სასურველია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები შექმნილი იქნეს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული ჩარჩოს შესაბამისად და უფრო მკაფიოდ იქნეს ასახული სსსმ მოსწავლის საჭიროებაზე მორგებული დავალებები და აქტივობები. **2.1.2.4. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაში შემავალი საგნის სწავლება ყველა საფეხურზე ხორციელდება დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომებით. სწავლისადმი ამგვარი დამოკიდებულება და მიდგომები აღიალებულია და ადმინსტრირებულია სკოლაში მოქმედი დოკუმენტებით. კერძოდ კი, სწავლისადმი ასეთი მიდგომები დეტალურადაა გაწერილი და ასახულია სკოლის შინაგანაწესში, სასკოლო სასწავლო გეგმაში და საგნობრივ კურიკულუმებში. სასწავლო პროცესი დაგეგმილია იმგვარად, რომ მაწავლებლები ითვალისწინებენ არა მარტო სსსმ. მოსწავლეების, არამედ ტიპური განვითარების მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, შესაძლებლობებს, შემოქმედებით უნარებსა და ინტერესებს. კომპლექსური და არა მარტო კომპლექსური დავალებების დამუშავების საფუძველზე შესაქმნელი პროდუქტის სხვადასხვა სახეს მოსწავლეების სთავაზობენ მასწავლებელები, იქნება ეს ციფრული საპრეზენტაციო მასალა, ბუკლეტი, მაკეტი, ესე, რეფერატი, პოსტერი, კარტოგრაფიული ნამუშევარი და სხვა. ეს ყოველივე კი ნათლადა და მკაფიოდ იძლევა მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და შემოქმედებითი უნარების უკეთ რეალიზების შესაძლებლობას. საგნის სწავლებისას გამოყენებული სასწავლო რესურსები მრავალგვარი და მრავალფეროვანია. მათი მრავალგარობა და მრავალფეროვნება მოსწავლეთა საჭიროებებებსა და შესაძლებლობებზეა მორგებული. ეს კი, სასწავლო პროცესის დიფერენცირებისა და მასში ყველა მოსწავლის ჩართვას ითვალისწინებს ცალსახად. მასწავლებლები საკუთარი პრაქტიკული და სკოლაში მოქმედი სასწავლო პროცესის მაორგანიზებელი მექანიზმების საშუალებთ ფლობენ სსსმ. მოსწავლეებთან მუშაობისათვის საჭირო ფორმალურ და არაფორმალურ მხარეებს. (დოკუმეტტაციის წარმოება, სასწავლო მეთოდები და სტრატეგიები). აღნიშნული კუთხით მასწავლებელებს შესაძლებლობაც და მზაობაც აქვთ.
უცხოური ენები	მასწავლებლები ქმნიან და მიმართავენ ინდივიდუალურად მორგებულ სასწავლო გეგმებს და ახდენენ დავალებების მოდიფიცირებას მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად. **2.1.2.4. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკურ კათედრაზე წარმოდგენილი კურიკულუმი სამივე საფეხურზე არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს მუსიკისა და ხელოვნების საგნებში. კურიკულუმში გაწერილ შემოქმედებითი ტიპის დავალებებში არის არჩევანის საშუალება, რომელიც აძლევს მოსწავლეს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით. პედაგოგების მიერ გათვალისწინებულია მოსწავლის ინდივიდულუალური, ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლები, შესაძლებლობები და ინტერესები. კათედრაზე შემუშავებულია ი.ს.გ. გეგმები, რამაც ხელი შეუწყო განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების ჩართულობასაც. **2.1.2.4. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	სკოლა დამაკმაყოფილებლად ახორციელებს ინკლუზიური და დიფერენცირებული სწავლების პრინციპების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში სამივე საფეხურზე. ცხადად ჩანს მასწავლებელთა მიზანმიმართული ძალისხმევა იმისთვის, რომ სწავლა ორგანიზდეს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების, უნარებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. გამოყენებულია სწავლების მეთოდები და აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს ყველა მოსწავლის ჩართულობას. შემუშავებულია ი.ს.გ. გეგმები, რაც ხელს უწყობს განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების ჩართულობასაც. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც ასახავს როგორც დიფერენცირებული, ისე ინკლუზიური პრაქტიკის არსებობას. ასევე აღსანიშნავია, რომ სასწავლო გარემო ხელსაყრელია ინკლუზიური განათლებისთვის. **რჩევა:** სასურველია, პროექტებისა და კომპლექსურების დაგეგმვის ნაწილში სკოლამ დოკუმენტურად ასახოს, როგორ ახდენს დავალებისა და შეფასების კრიტერიუმების მოდიფიცირებას სსსმ მოსწავლისთვის. **2.1.2.4. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა	მიუხედავად იმისა, რომ სკოლა მცირეკონტიგენტიანია, სკოლაში აქტიურად არის დანერგილი დიფერენცირებული სწავლების მიდგომები. სასწავლო პროცესი დაფუძნებულია კომპლექსური ბუნების დავალებებზე, რაც თავისთავად მოიაზრებს დავალების პირობისა და საეტაპო აქტივობების დიფერენცირებას; პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს უკვე შესრულებული კომპლექსური

	ტიპის დავალების შესახებ. კათედრას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და ადაპტირებული დავალების ნიმუში. **2.1.2.4. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სპორტი	სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებულად მისი ინტერესებისა და შესაძლებლობიდან გამომდინარე. მასწავლებელი მოსწავლეს მასზე მორგებულ რესურსებსა და სასწავლო მასალას სთავაზობს, რაც მოსწავლეს სასწავლო პროცესში პროდუქტიულ ჩართულობას განაპირობებს. კომპლექსური ტიპის სამუშაო მოსწავლეს საშუალებას აძლევს ერთი და იგივე საკითხის, ერთი და იგივე სამიზნე ცნების დამუშავებისას, აირჩიოს სხვადასხვა დავალებები. **2.1.2.4. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ პირებზე მორგებული ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, რომელიც ხელს უწყობს ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს ჩამოყალიბებას. პედაგოგებთან ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ისინი ყოველ სასწავლო წელს გეგმავენ პროცესს წინა გამოცდილების, დამუშავებული თემებისა და მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების, საჭიროებებისა და პოტენციალის გათვალისწინებით. ასევე გამოიკვეთა მასწავლებლების მზაობა და პრაქტიკული გამოცდილება დიფერენცირებული სწავლებისა და ინკლუზიური განათლების პრინციპების ინტეგრირების კუთხით. სკოლას წარმოდგენილი აქვს ისგ გეგმა. **2.1.2.4. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლაში სასწავლო პროცესი ყველა საფეხურზე ინკლუზიურია და ეფუძნება დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებას (ჩანს კურიკულუმებში, სადაც დავალებები მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს). **2.1.2.4. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კათედრების მიერ შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შესაბამისია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებთან, პრინციპებთან და მეთოდიკურ ორიენტირებთან. ასევე შეფასების სისტემებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა მიღწევების დონე და საფეხურის შედეგების ინდიკატორები. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად აქტიურად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას, უმეტესწილად იყენებენ ზეპირ უკუკავშირებს განმავითარებელი შეფასების რუბრიკაზე დაყრდნობით. წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკიდან ჩანს, რომ შეფასება ეფუძნება საგნის სტანდარტით განსაზღვრულ მიღწევის ინდიკატორებს სამიზნე ცნებების მიხედვით. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შექმნილია სოლო ტაქსონომიის მიხედვით სამიზნე ცნებებთან მიმართებით. **რჩევა** სასურველია, თუ შეფასების რუბრიკაში უფრო მეტი სიზუსტით იქნება გაწერილი შესაფასებელი აქტივობა სამიზნე ცნებასთან მიმართებით. **2.1.2.5. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	მოქმდი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნის შესაბამისად დაწყებითი საფეხურის (III – IV კლ.) მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება განმავითარებელი შეფასებებით, ხოლო V -XII კლასი მოსწავლეების შეფასება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასებით. აღნიშნული შეფასების ფორმები ითვალისწინებს გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების დაუფლების გზაზე მოსწავლეთა ცოდნის პერიოდულ მონიტორინგსა და დიაგნოსტირებას. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შეფასების პროცესი კი სრულდება განმსაზღვრელი ან/ და განმავითარებელი შეფასებით. შეფასების ამგვარ მექანიზმს ცნობს სასკოლო სასწავლო გეგმა და საგნობრივი ჭრილით თემატიკის შესაბამისი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. განმავითარებელი შეფასებები მკაფიოდაა გაწერილი შეფასების რუბრიკებში. ხოლო განმსაზღვრელი შეფასებების მრავალგვარობა და დეტალიზება განხორციელებულია შემაჯამებელი სამუშაოს ფორმებში. განმავითარებელი შეფასების ძირითად ორიენტირს წარმოადგენს მოსწავლეთა შესაძლებლობების გამოვლენა და რეკომენდაციებისა და კუნსულტაციის გაწევა მოსწავლეებზე ასათვისებელი ან / და, გასაუმჯობესებელი ცოდნისა და უნარების დაუფლების გზაზე. შეფასება მოიცავს მოსწავლეთა სწავლა - სწავლების სტატისტიკური მონაცემების შექმნას და ასევე სწავლის დინამიკის აღწერას. კერძოდ: თუ სად იყო მოსწავლე ამა თუ იმ საკითხის დამუშავებისას და სად მივიდა, რა შედეგს მიაღწია სწავლა - სწავლების პროცესში. რა კონკრეტული მეთოდები, რესურსები და ინსტრუმენტები იქნება საჭირო მიზნამდე მისასვლელად.

	2.1.2.5. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
უცხოური ენები	შეფასება მიმართულია მოსწავლის უნარებისა და ცოდნის განვითარებაზე. **რჩევა:** სასურველია შეფასების სისტემაში მეტი ყურადღების მიქცევა სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკების შექმნაზე. **2.1.2.5. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების საფუძველზე სამივე საფეხურზე მოქმედებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სიტემა, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. შეფასების რუბრიკებში გათვალისწინებულია როგორც ცოდნის შემოწმება, ისე უნარებისა. შეფასება ორიენტირებულია მოსწავლეთა შედეგების იდენტიფიცირებასა და მიღწევების გაუმჯობესებაზე. **რჩევა:** უმჯობესია, შეფასების რუბრიკა კონკრეტულ სავალდებულო თემატურ ბლოკს მიემართებოდეს, რათა მოხდეს ინდიკატორებში იმ სამიზნე ცნებების დაკონკრეტება, რომელსაც ამოწმებს შეფასების რუბრიკა. **2.1.2.5. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	შეფასების რუბრიკების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პრინციპებთან. შეფასების პროცესში გათვალისწინებულია როგორც ცოდნის შემოწმება, ისე უნარებისა. შეფასება არ შემოიფარგლება მხოლოდ ტესტური ფორმებით – მასში შედის სხვადასხვა სახის ფორმატული და შემაჯამებელი მეთოდი, რაც ეხმიანება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მრავალმხრივი შეფასების მიდგომას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მასწავლებლები იყენებენ ნათლად ფორმულირებულ კრიტერიუმებს, რათა შეფასება იყოს ობიექტური, გამჭვირვალე და განვითარებაზე ორიენტირებული. ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ სკოლა რეგულარულად აანალიზებს შედეგებს, რაც ასახულია აქტივობათა რეფლექსიებში. სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების ფორმებს. მტკიცებულებების სახით წარმოდგენილია სხვადასხვა აქტივობისთვის შერჩეული შეფასების ფორმები. **რჩევა:** შეფასების ფორმათა ორგანიზებისას სასურველია, მეტი სიზუსტით ერგებოდეს კონკრეტულ აქტივობას და მკაფიოდ იკვეთებოდეს შესაბამის სამიზნე ცნებებთან კავშირი. **2.1.2.5. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა	სკოლას წარმოდგენილი აქვს როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები და კომენტარები. **რჩევა:** კარგი იქნება თუ შეფასების გამჭვირვალობის პრინციპის უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავდება შეფასების რუბრიკების მოსწავლეებისა და მათი მშეობლებისათვის გაცნობის მექანიზმი. **2.1.2.5. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სპორტი	მოსწავლეთა ცოდნის კონსტრუირების და შეძენილი ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის განმსაზღვრელია მოსწავლის შეფასება. მასწავლებელი ითვალისწინებს სტანდარტით განსაზღვრულ მიზნებს, მისაღწევ შედეგებს და აქიდან გამომდინარე აკეთებს უკუკავშირს, რომელიც ძირითადად სწავლის პროცესის გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული. პედაგოგებთან გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე, უკუკავშირის გაცემა ძირითადად ვერბალურად და განმავითარებელი კომენტარის სახით განხორციელდა, მათ აქვთ მზაობა ახალი კურიკულუმების დანერგვის პროცესში თემების მიხედვით შეიქმნან ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რის შემუშავებაშიც ასევე აქტიურად იქნებიან ჩართულნი მოსწავლეებიც. **2.1.2.5. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ პედაგოგებს აქვთ შეფასების რუბრიკების შედგენის პრაქტიკული გამოცდილება. თვალსაჩინოა, რომ მასწავლებლებს გააჩნიათ ზოგადი ხედვა, თუ როგორ უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება. **2.1.2.5. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრას ყველა საგანში წარმოდგენილი აქვს კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკები რიგ კლასებში. გაიცა რეკომენდაცია, რომ შეფასების რუბრიკებს მისცენ მეტი კონკრეტიკა და სრულ შესაბამისობაში მოიყვანონ სამიზნე ცნებებთან, კერძოდ, კონკრეტული დავალებისთვის, დეტალურად აღწერონ სამიზნე ცნებებთან მიმართებაში კრიტერიუმის მიღწევა. ასევე, სასურველია პედაგოგებმა შექმნან სხვადასხვა აქტივობის შესაბამისი შეფასების რუბრიკები და შექმნის პროცესში ჩართონ მოსწავლეები. **2.1.2.5. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:

- დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმები ბუნებისმეტყველება;
- საბაზო საფეხურის (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) კურიკულუმები;
- საშუალო საფეხურის (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) კურიკულუმები;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- კომპლექსური დავალების მატრიცები.

საზოგადოებრივი მეცნიერებები:

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- დაწყებითი საფეხურის (მე და საზოგადოება; ჩემი საქართველო) კურიკულუმი
- საბაზო საფეხურის (ისტორია; მოქალაქეობა; გეოგრაფია) კურიკულუმი
- საშუალო საფეხურის (საქართველოს ისტორია; მსოფლიო ისტორია; მოქალაქეობა; გეოგრაფია) კურიკულუმი
- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი
- შემაჯამებელი სამუშაობიეს ფორმები / შაბლონები

უცხოური ენები:

- საგნობრივი კურიკულუმი (თითოეული საგნისა და კლასისთვის სამივე საფეხურზე)
- სამოქმედო გეგმა და კათედრის სხდომის ოქმები (4 ოქმი)
- ისგ (ინგლისური ენა VI და VIII კლასები; რუსული ენა VI და VIII კლასები)
- სსსმ მოსწავლის დავალების ნიმუშები (VI და VIII კლასები)
- სოლო ტაქსონომიით შეფასების რუბრიკები
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა (ინგლისური ენა V, XI კლასები)
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა (ინგლისური ენა V და XI კლასები, რუსული ენა, VIII კლასი)
- პროექტის გეგმა და რეფლექსია (ინგლისური ენა V და IX კლასები, რუსული ენა VII კლასი)
- კურიკულუმის ანალიზი (რუსული ენა VIII კლასი, ინგლისური ენა VIII კლასი))
- გაკვეთილის გეგმა და ანალიზი (ინგლისური ენა V და X კლასები, რუსული ენა V კლასი)
- შემაჯამებელი დავალება და ანალიზი (ინგლისური ენა VII კლასი, რუსული ენა VI და VII კლასები)
- ფოტომასალა: საინფორმაციო პლაკატები ინგლისურ და რუსულ ენებზე; მოსწავლეთა მიერ შესრულებული პოსტერები

ესთეტიკური აღზრდა:

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები მუსიკასა და ხელოვნებაში
- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები მუსიკასა და ხელოვნებაში
- საშუალო საფეხურის პროექტული სწავლების კურიკულუმი მუსიკასა და ხელოვნებაში
- პროექტები საბაზო საფეხურზე
- შემაჯამებელი დავალებები
- შეფასების რუბრიკები
- რეფლექსიები

სახელმწიფო ენა:

- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- კურიკულუმები სახელმწიფო ენაში პირველიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
- ქართ.კათ.ოქმი1
- ქართ.კათ.ოქმი2
- ქართ.კათ.ოქმი3
- ბრძანება N2-37 კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025
- შემაჯამებლები და თანდართული შეფასების რუბრიკები
- კომპლექსურებსა და პროექტებზე დართული შეფასების ცხრილები.
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები
- სსმ მოსწ. შექმნილი რესურსები
- ფოტომასალა მოსწავლეთა მიერ შექმნილი რესურსების შესახებ
- ღონისძიებათა ამსახველი ფოტომასალა
- ბრძანება N2-37 კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- შინაგანაწესი
- ბიბლიოთეკის დებულება
- მატერიალ.რესურსებით სარგებლობის წესი
- საერთო სივრცის მოხმარების ფოტოები
- ადაპტირებული ინფრასტრუქტურისა და რესურსების დოკუმენტი
- ელექტრონული რესურსების ჩამონათვალი
- კომპიუტერული ლაბორატორიის გამოყენების გრაფიკი
- სსსმ მოსწ. შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

დაწყებითი

- დაწყებითი კლასების კურიკულუმები
  გაკვეთილის გეგმები:
  გაკვეთილის თემა: "ორი ამხანაგი" – (ეზოპეს იგავი)

თემა: სულხან-საბა ორბელიანის „უკან მიდევნებული ლამპარი“
თემა: ქეთევან ჭილაშვილი - "პატარა კალათა"
თემა: ფაიფურის თოჯინა სამიზნე ჯგუფი: I კლასი

- კომპლექსურები და პროექტები
  კომპლექსური დავალების პირობა: ა. სულაკაურის მოთხრობის „ბიჭი და ძაღლი“ მიხედვით აღადგინე ამბის წინა ვითარება.
  საკითხი - სულხან- საბა ორბელიანის იგავის ,,დაყვედრება ტყვეობაზე უარესია” კომიქსად გარდაქმნა, პერსონაჟების ხედვის კუთხის გათვალისწინებით.
  საკით ხი - დედისთვის მისალოცი ბარათის შექმნა
- პროექტები
  ,,სამშობლო”
  ,,საოცარი ბავშვები“
  „სწავლის მნიშვნელობა“

საბაზო საფეხური

შემაჯამებლების ნიმუშები

- გაკვეთილის გეგმები
  თემა: „სარჩობელაზედ“ ილია ჭავჭავაძე (ლიტერატურული ტექსტის განხილვა)
- კომპლექსური დავალებები
  კომპლექსური დავალების პირობა: წარმოიდგინე,რომ ხარ იმ ეპოქაში, როცა დადიანის ასული ცხოვრობდა. მისწერე მას წერილი ,რომელშიც გამოხატავ შენს დამოკიდებულებას მისადმი,გაუზიარებ შენს აზრებს,განცდებსა და ემოციებს.
- პროექტი

თემა: „სამშობლო უფრო ღრმადაა...“

საშუალო საფეხური

- გაკვეთილის გეგმა
  აკაკი წერეთლის ,,გამზრდელი“- შემაჯამებელი გაკვეთილი.
- კომპლექსური დავალებები
  თემა: ჰუმანიზმი და ინდივიდუალიზმი - დონ კიხოტის პერსონაჟები: "ჰუმანიზმი და ინდივიდუალიზმი – დონ კიხოტის პერსონაჟების ხედვა".
  საკითხი - კონსტანტინე გამსახურდიას რომან „დიდოსტატის მარჯვენაზე“ დაყრდნობით, ანალიტიკური ესეს დაწერა თემაზე - „ხელოვნებაა თავად უკვდავება“.
- პროექტი:
  თემა-აკაკი წერეთლის ,,გამზრდელი’’
  პროექტის სათაური-,,ადამიანის ბუნება და აღმზრდელის როლი’’

მათემატიკა:

- სამივე საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმები;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- სსმ მოსწავლისათვის შექმნილი რესურსები
- შემაჯამებელი წერების ნიმუშები ანალიზებით;

- განხორციელებული პროექტების მასალები;
- კომპლექსური დავალების ნიმუში;
- ურთიერთდასწრების ამსახველი დოკუმენტაცია;
- გაკვეთილის გეგმები;
- ბრძანება N2-37 კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025 ;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები;
- ფოტომასალა მოსწავლეთა მიერ შექმნილი რესურსების შესახებ;
- კურიკულუმის რევიზიის ინსტრუმენტი.

სპორტი:

- ➢ კურიკულუმი (სამივე საფეხურის)
- ➢ საგნობრივი პროგრამები
- ➢ მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი

ტექნოლოგიები:

- კურიკულუმები მე-2-მე-6 კლასები.
- შეფასების რუბრიკები
- შემაჯამებელი დავალება
- კომპლექსური დავალება
- კომპლექსურის ბარათი მშობლებისთვის
- პროექტი
- ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:

- დაწყებითი კლასების კურიკულუმები
- გაკვეთილის გეგმები
- კომპლექსურები და პროექტები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო მიმართულებით (ბუნებისმეტყველება, ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა) სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. მასწავლებლები საუბრისას აღნიშნავდნენ, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების მიხედვით მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა აქტიურად იყვნენ ჩართული საკუთარი ცოდნის კონსტრუირებაში ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითი უნარის, მიზნის მისაღწევი ქმედებების დაგეგმვის და განხორციელების გზით. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეს უწევს პრობლემების გადაჭრის გზების ძიება და შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა, რაც ეხმარება მათ ცოდნის კონსტრუირებაში და მიღებული ცოდნის ყოფა-ცხოვრებაში გამოყენებაში. **2.2.1.1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის თითოეულ კლასში საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჭრილის სწავლება ხორციელდება წინასწარ შედგენილი კურიკულუმების საფუძველზე. დავალებების თემატიკა, კომპლექსური დავალებები და შემაჯამებელი სამუშაოების თემატურადაა განაწილებული, წინასწარ დაგეგმილი, თანამშრომლობითი ურთიერთობის საფუძველზე შედგენილი კურიკულუმების შესაბამისა. შემუშავებული კურიკულუმი ნათლად ავლენს იმ გარემოებას, რომ საგნის კურიკულუმები ნათლადაა ორიენტირებული სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებზე. სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები ნათელი დადასტურებაა იმასა, რომ ისინი მოსწავლის საჭიროებებზე არის ორიენტირებული. აღნიშნული საგნის კურიუკულუმის მიზნობრიობა და ორიენტირება არის სრულ შესაბამისობაში საზოგადოებრივი კათედრის ორიენტირებთან და საგნობრივ სტანდარტებსა და ინდიკატორებთან. **2.2.1.1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის სასწავლო საქმიანობა ეყრდნობა სასკოლო კურიკულუმს. დაგეგმილი აქტივობები ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სტანდარტებს. **რჩევა:** სასურველია, მუშაობის დაგეგმვისას, გათვალისწინებული იყოს რეალური დროითი და ადამიანური რესურსები, რათა თავიდან ავიცილოთ იმაზე მეტი საქმიანობის დაგეგმვა, რაც განხორციელებისთვის რთული ან მოუხერხებელია. მიზანია, ყველა აქტივობა იყოს შესრულებადი და მოსწავლეებისთვის მაქსიმალურად შედეგიანი. **2.2.1.1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე ესთეტიკური მიმართულებით სწავლება ხორციელდება საგნობრივი კურიკულუმის მოთხოვნებიდან გამომდინარე. პედაგოგები სასწავლო პროცესის დაგეგმვისას და განხორციელებისას ეყრდნობიან სამიზნე ცნებებს, სასწავლო მიზნებს, მოცემულ თემატიკას, შემაჯამებელი დავალებების იდეებს. თითოეული სასწავლო ერთეული წარიმართება კურიკულუმის შესაბამისად. **რჩევა:** სასურველია კურიკულუმში წარმოდგენილი შერჩეული თემები მკაფიოდ იყო სტანდარტით განსაზღვრულ თემატურ ბლოკებთან მიმართებაში და ჩანდეს თემისა და თემატური ბლოკის კავშირი. **2.2.1.1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე სკოლა სასწავლო პროცესს გეგმავს ეროვნული სასწავლო გეგმითა და სასკოლო კურიკულუმებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში. პედაგოგები სწავლების დაგეგმვისას ეყრდნობიან კურიკულუმში მოცემულ თემატიკას, შემაჯამებელი დავალებების იდეებს,

	სამიზნე ცნებებსა და სასწავლო მიზნებს. თითოეული სასწავლო ერთეული წარიმართება კურიკულუმში ჩამოყალიბებული ლოგიკით, რაც უზრუნველყოფს სწავლის თანმიმდევრულობასა და მიზანმიმართულობას. სკოლაში არსებული კურიკულუმები არა მხოლოდ შესაბამისობაშია სწავლების პრაქტიკასთან, არამედ მისი ძირითადი საყრდენია. **2.2.1.1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი შეესაბამება კურიკულუმის მოთხოვნებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა პიროვნული განვითარება და დაფუძნებულია გრძელვადიან მიზნებზე, ჩანს ზრუნვა და მხარდაჭერა. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. დაგეგმილი პროექტები, სასწავლო პროცესში გამოყენებული აქტივობები და რესურსები ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია მოსწავლისთვის ნაცნობ თემებსა და გარემოსთან დაკავშირებული სასწავლო კონტექსტები **2.2.1.1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სპორტი	საგნობრივი კურიკულუმი მიემართება სამიზნე ცნებებს და ემსახურება მკვიდრი წარმოდგენების გააზრებას. წარმოდგენილია ასევე კომპლექსური დავალებების ნიმუშები და/ან პირობები. საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენს, სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზების და ურთიერთდაკავშირების საშუალებას იძლევა. წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვლილი თემები, მოსწავლეს ხელს შეუწყობს საგნობრივი საკითხების გააზრებაში. ხოლო კომპლექსური დავალებები მოსწავლეს დაეხმარება პრობლემის გადაჭრაში, გამოწვევასთან გამკლავებაში, პროდუქტის შექმნაში, სხვისი მოსაზრებების გათვალისწინებასა და ყველა გამოცდილების მობილიზებაში, გამომდინარე აქედან სასწავლო პროცესი დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. **2.2.1.1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	სკოლაში სასწავლო პროცესი წარიმართება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. ის ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ სწავლა-სწავლების პრინციპებს, რასაც ადასტურებს როგორც კურიკულუმის შემუშავების მიდგომები, ისე მასწავლებლებთან გასაუბრება. საგნობრივი კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეზე და უზრუნველყოფს სწავლის პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებას ისე, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური უნარები და საჭიროებები. კურიკულუმში მოცემული კომპლექსური ტიპის დავალებები (მაგალითად:

	პრეზენტაცია, პოსტერები და სხვა ფორმები) აძლევს მოსწავლეებს შესაძლებლობას, გამოხატონ საკუთარი აზრები და წარმოაჩინონ თავი შემოქმედებითად. სკოლაში განხორციელებული პროექტები არსებითად უწყობს ხელს მოსწავლეების მრავალმხრივი უნარების განვითარებას და მათ აქტიურ, სოციალური პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეებად ჩამოყალიბებას. წარმოდგენილი ინდიკატორი სრულად შეესაბამება მოქმედ საგანმანათლებლო სტანდარტებს. **2.2.1.1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლებთან ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ახორციელებენ იმ კურიკულუმებს, რომლებიც წარმოდგენილი აქვთ. წლის დასაწყისში და ბოლოს ხდება კათედრის შეხვედრა და კურიკულუმების განხილვა. გასაუბრებისას აღნიშნეს რომ დანერგვის შემდეგ აანალიზებენ კურიკულუმს და შეაქვთ ცვლილება. მაგ. პირველ კლასში აპირებენ მიზნობრივად დატოვონ იმდენი კომპლექსური დავალება რამდენის დანერგვაც შეძლეს გასულ წელს. **2.2.1.1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

შეფასების პროცესში გამოვლინდა, რომ სკოლა რეგულარულად აგროვებს ინფორმაციას მოსწავლეთა აკადემიური პროგრესისა და საჭიროებების შესახებ, მიღებული მონაცემების საფუძველზე, ახორციელებს მიზანმიმართულ ცვლილებებს სასწავლო პროცესში. სკოლა იჩენს მოქნილობას, როგორც სასწავლო თემების შერჩევისას, ისე მეთოდური მიდგომების კუთხით. საჭიროების შემთხვევაში იცვლება სწავლების ტემპი, გამოიყენება დიფერენცირებული მიდგომები და დამატებითი აქტივობები (რემედიული სწავლება, საკლასო დახმარება). სკოლა აქტიურად რეაგირებს მოსწავლეთა სოციალურ და ემოციურ საჭიროებებზე, იყენებს მშობლებთან კოორდინაციას, რაც ხელს უწყობს პრობლემების ადრე იდენტიფიკაციას და მათზე რეაგირებას.

2.2.1.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში შემუშავებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები უზრუნველყოფს ვალიდურ, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ და სამართლიან შეფასებას. წარმოდგენილი შეფასების

	რუბრიკები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს და ზომავს საგნის სტანდარტის შედეგებს. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ცდილობენ ყოველთვის ობიექტური უკუკავშირი მიაწოდონ მოსწავლეებს. სასწავლო პროცესში ხშირად მიმართავენ მოსწავლეთა თვითშეფასებასაც. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასების ვალიდურობას, ობიექტურობას, გამჭვირვალეობას, სანდოობას და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების კრიტერიუმების შესაბამისობა დავალებაში ასახულ სამიზნე ცნებებთან და მკვიდრ წარმოდგენებთან. წარმოდგენილი შეფასებების რუბრიკები ასახავს აქტივობის შინაარსს, მიზნებს, კრიტერიუმებს ქულებთან ერთად, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ნამუშევრების ობიექტურ შეფასებას. მასწავლებლებმა საუბრისას გამოთქვეს მზაობა, რომ საკუთარი გამოცდილების გაანალიზების შედეგად კიდევ უფრო გააუმჯობესებენ შეფასების სისტემას, ყველა კომპლექსურ დავალებასთან მიმართებაში შემუშავებული ექნებათ შეფასების კრიტერიუმების შესაბამისი შეფასების რუბრიკები. **2.2.1.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი საგნობრივი გაერთიანების თითოეული საგნობრივი ჭრილის სწავლებისას დიდი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა შეფასებებს. მასწავლებელები აქტიურად იყენებენ შეფასების მრავალდგვარ მეთოდსა და საშუალებას, რომელიც თავისთავად ასახვას ჰპოვებს განმსაწღვრელ და განმავითარებელ შეფასებებში და რაც მთავარია შეფასების რუბრიკებით ნათლად ჩანს, ის ფაქტი რომ შეფასებას მოსწავლეთა წარმატებისა და აღიარებისათვის იყენებენ. შეფასების ყველა სისტემა არის სამართლიანი, ობიექტური, გამჭვირვალე და სანდო. მასწავლებელთა მიერ გამოყენებული სხვადასხვა გვარი სისტების შეფასების რუბრიკები, მკაფიოა და დამატებით კითხვებს არ იწვევს. **2.2.1.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	შეფასების ეფექტურობის უზრუნველსაყოფად სკოლას თავმოყრილი აქვს მრავალი ტიპის შეფასების რუბრიკა. სკოლას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი. **რჩევა:** სასურველია, რომ ვერიფიკაციის მექანიზმის შექმნის პროცესში მონაწილეობა უცხოური ენების კათედრამ უფრო აქტიურად მიიღოს, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს შეფასების პროცესის გამჭვირვალობასა და საგნობრივ სიზუსტეს. **2.2.1.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური საგნების სწავლებისას მოსწავლეთა ცოდნის შეფასება ხდება შეფასების რუბრიკების გამოყენებით, რომელიც იძლევა არა მხოლოდ მიღწეული შედეგების დაფიქსირების საშუალება, არამედ განვითარებაზე ორიენტირებულ პროცესს წარმოაგენს. შეფასების სისტემა დაფუძნებულია ვალიდურობაზე, გამჭვირვალობაზე, სანდოობასა და ობიექტურობაზე და შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების პრინციპებსა და მოთხოვნებს. **რჩევა:** სასურველია შეფასების რუბრიკების კრიტერიუმები მჭიდროდ იყოს დაკავშირებული და მკაფიოდ იყოს დაკონკრეტებული სასწავლო აქტივობებთან მიმართებაში, რათა მკაფიოდ იკვეთებოდეს შესაბამის სამიზნე ცნებებთან კავშირი. **2.2.1.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა დაფუძნებულია ვალიდურობაზე, გამჭვირვალობაზე, სანდოობასა და ობიექტურობაზე, რაც სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებსა და სტანდარტებს. შეფასება აღქმულია არა მხოლოდ როგორც მიღწეული შედეგების დაფიქსირების საშუალება, არამედ როგორც უწყვეტი, განვითარებაზე ორიენტირებული პროცესი. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სკოლაში შემუშავებული შეფასების რუბრიკები მჭიდროდ არის დაკავშირებული სასწავლო აქტივობებთან. თითოეული რუბრიკა ზუსტად ასახავს შესაბამისი აქტივობის შინაარსსა და მიზნებს, ხოლო შეფასების კრიტერიუმები მკაფიოდ არის გაწერილი, რაც მოსწავლეებსა და მშობლებს აძლევს შესაძლებლობას, წინასწარ გაეცნონ შეფასების მოლოდინებსა და სტანდარტებს. შეფასება ეფუძნება განსაზღვრულ ობიექტურ კრიტერიუმებს და არ არის დამოკიდებული სუბიექტურ განწყობებზე. ვერიფიკაციის დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ მასწავლებლები აანალიზებენ საკუთარი შეფასების პრაქტიკას. **რჩევა:** სასურველია უფრო აქტიურად გამოიყენოს სკოლამ შეფასების სხვა ფორმები, როგორებიცაა თვითშეფასება, მოსწავლეთა შეფასება და სხვა. ასევე, როგორც ზემოთ აღვნიშნე, შეფასების ფორმათა ორგანიზებისას სასურველია, მეტი სიზუსტით ერგებოდეს კონკრეტულ აქტივობას და მკაფიოდ იკვეთებოდეს შესაბამის სამიზნე ცნებებთან კავშირი. **2.2.1.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

მათემატიკა	სამივე საფეხურზე კათედრა იყენებს, როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებებს, სკოლა ცდილობს, რომ შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებმა იციან შეფასების კრიტერიუმები, რომელიც წინასწარაა შემუშავებული, სკოლას აქვს მზაობა საგნობრივ კათედრაზე თითოეული საგნისათვის შექმნან ისეთი შეფასების სისტემა, სადაც იქნება გააზრებული შეფასების სისტემური მიდგომა. მოსწავლეთათვის ცნობილი იქნება: თუ რაში ფასდებიან, როგორ ფასდებიან, რამდენად მიზნობრივად ფასდება მოცემული შედეგი. **რჩევა:** კარგი იქნება თუ შეფასების სისტემის ვალიდურობის პრინციპის უზრუნველყოფის მიზნით შეიმუშავებენ უფრო კონკრეტულ, გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ შეფასების რუბრიკებს, ასევე კარგი იქნება შემუშავდე შეფასების რუბრიკების მოსწავლეებისა და მათი მშობლებისათვის გაცნობის მექანიზმი. **2.2.1.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სპორტი	სკოლის მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი, სისტემის გამჭვირვალობას და ობიექტურობას ადასტურებს ის გარემოება, რომ მასწავლებლები შეფასების რუბრიკებს წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს რათა მოსწავლეებს ჰქონდეთ სრულყოფილი ინფორმაცია იმ შეფასების კრიტერიუმების შესახებ, რითაც ისინი შეფასდებიან სპორტული აქტივობების დროს, ეს ყოველივე საშუალებას მისცემს მოსწავლეებს უფრო ორგანიზებულად და მონდომებით შეასრულონ აქტივობები. შეფასების სისტემა ასევე აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმით და იგი ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. **2.2.1.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	შეფასების რუბრიკები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და ამით უზრუნველყოფს მოსწავლეთა სწავლების პროცესში ძირითადი ცნებების ირგვლივ ფოკუსირებას. კრიტერიუმები საჯაროა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის, რაც უზრუნველყოფს მათ გამჭვირვალობას. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია აჩვენებს, რომ შეფასების რუბრიკები და მექანიზმები პრაქტიკაში წარმატებით ხორციელდება. **2.2.1.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრას წამროდგენილი აქვს შეფასების ზოგადი რუბრიკები დონეების მიხედვით გაწერილი, რომლებიც მორგებული აქვთ სასწავლო პროცესს და მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა მათ იყენებენ. რუბრიკათა დახვეწის მიზნით გაიცა რჩევა. გასაუბრებისას ცხადი იყო განწყობა რომ რჩევას გაითვალისწინებენ და რომ კათედრა დიდ ყურადღებას აქცევს შეფასების ვალიდურობას, გამჭვირვალობას, სანდოობას, ობიექტურობას და სამართლიანობას. იზრუნებენ ამ მიმართულების გაძლიერებაზე. **2.2.1.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემას გააჩნია ვერიფიკაციის მექანიზმი. შეფასების პროცესს კოორდინაციას თავად დირექტორი უწევს. შეფასების შედეგების განხილვა ხდება როგორც საგნობრივ კათედრებზე, ასევე პედაგოგიურ საბჭოზე. გამოიყენება უკუკავშირის ფორმები და მონიტორინგის ჩანაწერები, რის საფუძველზეც ხდება რეაგირება გამოვლენილ საჭიროებებზე.

2.2.1.4. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლა სისტემატიურად აღრიცხავს და ინახავსშსეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს, მათ შორის მოსწავლეთა შემაჯამებელი შეფასების ჩანაწერებს, შეფასების რუბრიკებს, ტესტებსა და რეფლექსიის ფურცლებს. აღნიშნული მასალები ინახება როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონური სახით დირექტორისა და შესაბამისი მასწავლებლების მიერ. წინა წლების მასალები ხელმისაწვდომია.

2.2.1.5. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმები;
- საბაზო საფეხურის (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) კურიკულუმები;

- საშუალო საფეხურის (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) კურიკულუმები;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- საბუნებისმეტყველო კათედრის ოქმები;
- კომპლექსური დავალების პირობები და ბარათები;

საზოგადოებრივი მეცნიერებები:

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- დაწყებითი საფეხურის (მე და საზოგადოება; ჩემი საქართველო) კურიკულუმი
- საბაზო საფეხურის (ისტორია; მოქალაქეობა; გეოგრაფია) კურიკულუმი
- საშუალო საფეხურის (საქართველოს ისტორია; მსოფლიო ისტორია; მოქალაქეობა; გეოგრაფია) კურიკულუმი
- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი
- კომპლექსური დავალების პირობები და ბარათები;
- შემაჯამებელი სამუშაოების ფორმები / შაბლონები;

უცხოური ენები:

- საგნობრივი კურიკულუმი (თითოეული საგნისა და კლასისთვის სამივე საფეხურზე)
- სამოქმედო გეგმა და კათედრის სხდომის ოქმები (4 ოქმი)
- ისგ (ინგლისური ენა VI და VIII კლასები; რუსული ენა VI და VIII კლასები)
- სოლო ტაქსონომიით შეფასების რუბრიკები
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა (ინგლისური ენა V, XI კლასები)
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა (ინგლისური ენა V და XI კლასები, რუსული ენა, VIII კლასი)
- პროექტის გეგმა და რეფლექსია (ინგლისური ენა V და IX კლასები, რუსული ენა VII კლასი)
- კურიკულუმის ანალიზი (რუსული ენა VIII კლასი, ინგლისური ენა VIII კლასი))
- გაკვეთილის გეგმა და ანალიზი (ინგლისური ენა V და X კლასები, რუსული ენა V კლასი)
- შემაჯამებელი დავალება და ანალიზი (ინგლისური ენა VII კლასი, რუსული ენა VI და VII კლასები)
- ბრძანება N2-34 შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

ესთეტიკური აღზრდა:

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები მუსიკასა და ხელოვნებაში
- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები მუსიკასა და ხელოვნებაში
- საშუალო საფეხურის პროექტული სწავლების კურიკულუმი მუსიკასა და ხელოვნებაში
- პროექტები საბაზო საფეხურზე
- შემაჯამებელი დავალებები
- შეფასების რუბრიკები
- რეფლექსიები

სახელმწიფო ენა:

- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- კურიკულუმები სახელმწიფო ენაში პირველიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით
- ქართ.კათ.ოქმი1
- ქართ.კათ.ოქმი2
- ქართ.კათ.ოქმი3
- ბრძანება N2-37 კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025
- შემაჯამებლები და თანდართული შეფასების რუბრიკები
- კომპლექსურებსა და პროექტებზე დართული შეფასების ცხრილები.
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები
- ფოტომასალა მოსწავლეთა მიერ შექმნილი რესურსების შესახებ
- ღონისძიებათა ამსახველი ფოტომასალა
- ბრძანება N2-37 კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- შინაგანაწესი
- ბიბლიოთეკის დებულება
- მატერიალ.რესურსებით სარგებლობის წესი
- საერთო სივრცის მოხმარების ფოტოები
- ელექტრონული რესურსების ჩამონათვალი
- კომპიუტერული ლაბორატორიის გამოყენების გრაფიკი

დაწყებითი

- დაწყებითი კლასების კურიკულუმები
  გაკვეთილის გეგმები:
  გაკვეთილის თემა: "ორი ამხანაგი" – (ეზოპეს იგავი)
  თემა:სულხან-საბა ორბელიანის „უკან მიდევნებული ლამპარი“
  თემა: ქეთევან ჭილაშვილი - "პატარა კალათა"
  თემა: ფაიფურის თოჯინა სამიზნე ჯგუფი: I კლასი
- კომპლექსურები და პროექტები
  კომპლექსური დავალების პირობა: ა. სულაკაურის მოთხრობის „ბიჭი და ძაღლი“ მიხედვით აღადგინე ამბის წინა ვითარება.
  საკითხი - სულხან- საბა ორბელიანის იგავის ,,დაყვედრება ტყვეობაზე უარესია” კომიქსად გარდაქმნა, პერსონაჟების ხედვის კუთხის გათვალისწინებით.
  საკით ხი - დედისთვის მისალოცი ბარათის შექმნა
- პროექტები
  ,,სამშობლო”
  ,,საოცარი ბავშვები“
  „სწავლის მნიშვნელობა“

საბაზო საფეხური

შემაჯამებლების ნიმუშები

- გაკვეთილის გეგმები
  თემა: „სარჩობელაზედ“ ილია ჭავჭავაძე (ლიტერატურული ტექსტის განხილვა)
- კომპლექსური დავალებები
  კომპლექსური დავალების პირობა: წარმოიდგინე,რომ ხარ იმ ეპოქაში, როცა დადიანის ასული ცხოვრობდა. მისწერე მას წერილი ,რომელშიც გამოხატავ შენს დამოკიდებულებას მისადმი,გაუზიარებ შენს აზრებს,განცდებსა და ემოციებს.
- პროექტი

თემა: „სამშობლო უფრო ღრმადაა...“

საშუალო საფეხური

- გაკვეთილის გეგმა
  აკაკი წერეთლის ,,გამზრდელი“- შემაჯამებელი გაკვეთილი.
- კომპლექსური დავალებები
  თემა: ჰუმანიზმი და ინდივიდუალიზმი - დონ კიხოტის პერსონაჟები: "ჰუმანიზმი და ინდივიდუალიზმი – დონ კიხოტის პერსონაჟების ხედვა".
  საკითხი - კონსტანტინე გამსახურდიას რომან „დიდოსტატის მარჯვენაზე“ დაყრდნობით, ანალიტიკური ესეს დაწერა თემაზე - „ხელოვნებაა თავად უკვდავება“.
- პროექტი:
  თემა-აკაკი წერეთლის ,,გამზრდელი''
  პროექტის სათაური-,,ადამიანის ბუნება და აღმზრდელის როლი''

მათემატიკა:

- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- სსმ მოსწავლისათვის შექმნილი რესურსები
- შემაჯამებელი წერების ნიმუშები ანალიზებით;
- განხორციელებული პროექტების მასალები;
- კომპლექსური დავალების ნიმუში;
- ურთიერთდასწრების ამსახველი დოკუმენტაცია;
- გაკვეთილის გეგმები;
- ბრძანება N2-37 კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025 ;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები;
- კურიკულუმის რევიზიის ინსტრუმენტი.

სპორტი:

- საგნობრივი კურიკულუმი
- შეფასების სისტემა
- კათედრის ოქმი

- კათედრის სამუშაო გეგმა
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

ტექნოლოგიები:

- კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:

- დაწყებითი კლასების კურიკულუმები
- გაკვეთილის გეგმები
- კომპლექსურები და პროექტები

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე ხდება სასწავლო პროცესში კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი რესურსების (სახელმძღვანელო, სამუშაო რვეულები) და დამხმარე რესურსების გამოყენება. მასწავლებლებმა საუბრისას აღნიშნეს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში აქტივობებს ისე გეგმავენ, რომ შესაძლებელი იყოს მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება შესაძლებლობის ფარგლებში. სწავლა სწავლების პროცესში იყენებენ ვიზუალურ მასალას, პლაკატებს, აუდიო და ციფრულ მასალებს, ვირტუალურ ლაბორატორიებს. შერჩეული რესურსები შესაბამისია გაკვეთილის მიზნის, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას, თემის უკეთ შესწავლას, გააზრებას და კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. რესურსების გამოყენება ხდება როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე პროექტების განხორციელების დროსაც. **2.2.2.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის თითოეულ კლასში საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჭრილის სწავლება ხორციელდება წინასწარ შედგენილი კურიკულუმების საფუძველზე. დავალებების თემატიკა, კომპლექსური დავალებები და შემაჯამებელი სამუშაოების თემატურადაა განაწილებული და ყველა მათგანი ითვალისწინებს ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსებს. რესურსების ხელმისაწვდომობა კი უზრუნველყოფილია მათი სასწავლო პროცესში გამოყენებით. ყველა სახის რესურსი ორიენტირებულია თემატიკაე და მათი გამოყენებით ხორციელდება სასწავლო პროცესი. **2.2.2.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები. დამხამარე რესურსების ნუსხა წარმოდგენილია კათედრის სხდომის ოქმის დანართში. კურიკულუმის ჩარჩოში მითითებულია მაგალითები შედარებისთვის. **2.2.2.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე, სამივე საფეხურზე, წარმოდგენილი სასწავლო გეგმა ითვალისწინებს როგორც ძირითად, ასევე დამხმარე სასწავლო რესურსების გამოყენებას. კათედრა სასწავლო პროცესში იყენებს მრავალფეროვან რესურსებს: სახელმძღვანელოებს, სამუშაო რვეულებს, ციფრული რესურსებს, ალბომებს, ვიზუალურ და აუდიო მასალებს, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს როგორც თემის უკეთ გააზრებას, ისე მოტივაციის ამაღლებას. რესურსების შერჩევა მიზანმიმართულია და ადეკვატურად პასუხობს გაკვეთილის მიზნებსა და მოსწავლეთა საჭიროებებს. მოსწავლეებს ეძლევათ მკაფიოდ განსაზღვრული ინსტრუქციები და რეკომენდაციები, შესაბამისად პედაგოგები წარმატებით ახორციელებენ მათ ინტეგრაციას სასწავლო პროცესში **2.2.2.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	სკოლა სამივე საფეხურზე აკმაყოფილებს ინდიკატორს: „კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში“. სასწავლო პროცესში სისტემატურად გამოიყენება როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ძირითადი რესურსები (სახელმძღვანელოები, სამუშაო რვეულები), ასევე შერჩეული დამხმარე მასალები. მასწავლებლები სწავლა-სწავლების პროცესს ისე გეგმავენ და ახორციელებენ, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი მრავალფეროვანი ფორმატის რესურსების გამოყენებაში. ფართოდ გამოიყენება ვიზუალური, აუდიო და ციფრული მასალები, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს როგორც თემის უკეთ გააზრებას, ისე მოტივაციის ამაღლებას. რესურსების შერჩევა მიზანმიმართულია და ადეკვატურად პასუხობს გაკვეთილის მიზნებსა და მოსწავლეთა საჭიროებებს.

	სკოლაში ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკა და დამატებითი მასალები, რომლებიც ცოდნის გაღრმავებასა და დამოუკიდებელი სწავლის ხელშეწყობას ემსახურება. რესურსების გამოყენება ხდება როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე კლასგარეშე აქტივობების დროს, რაც განამტკიცებს მოსწავლეთა პრაქტიკულ გამოცდილებას. **რჩევა:** სასურველია, სკოლამ გამოიყენოს პროექტორი, ან დიდი ეკრანი ფოტო-ვიდეო-აუდიო მასალის ჩვენებისას. რადგან, როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს მასწავლებლებმა, ისინი ხშრად იყენებენ ტელეფონებს დამატებითი რესურსების წარდგენისას. **2.2.2.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა	მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან, როგორც მატერიალურ, ისე ელექტრონულ დამხმარე რესურსებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. მასწავლებლები მიზნის მისაღწევად აქტიურად იყენებენ სხვადასხვა საგანმანათლებლო პლატფორმებს და სხვადასხვა ინტერნეტ რესურსებს, როგორც პედაგოგებმა აღნიშნეს, კლასებში მოსწავლეთა სიმცირის გამო მარტივად ხერხდება ვიდეორგოლების ტელეფონის საშუალებით ჩვენებაც. **2.2.2.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სპორტი	კურიკულუმის გაცნობის და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსები სრულად გამოიყენება სასწავლო პროცესში, აღინიშნა, რომ მიუხედავათ სპორტული ინვენტარის და ინფრასტრუქტურის სიმწირისა, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს დაუბრკოლებლად. **2.2.2.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების საგნის სწავლება უზრუნველყოფილია შესაბამისი ძირითადი მატერიალური ტექნოლოგიური რესურსებით, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მოსწავლეებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია საჭირო ტექნიკითა და კომპიუტერული მოწყობილობებით. კურიკულუმში განსაზღვრულია ციფრული რესურსების გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში. **2.2.2.1ინდიკატორი შეესაბამება ეროვნული საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნებს.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც ძირითადი ასევე დამხმარე რესურსების გამოყენება. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში ძირითადად მითითებულია სახელმძღვანელოები, მეტ-ნაკლებად აქვთ მაორგანიზებელი სქემები და იშვითად გვხვდება ციფრული რესურსები. თუმცა გასაუბრების დროს მათ ისაუბრეს იმ დამატებით რესურსებზე რომლებსაც აქტიურად იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში. **რჩევა:** სასურველია,კურიკულუმის შექმნისას გაითვალისწინონ როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე რესურსები. **2.2.2.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში კათედრა დამხმარე რესურსების შერჩევისას ითვალისწინებს, რომ შერჩეული რესურსი შესაბამისი იყოს ეროვნულ სასწავლო გეგმის მიზნებთან და საგნობრივ სტანდარტებთან. დამხმარე რესურსების შერჩევისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ასაკობრივ კოგნიტურ შესაძლებლობებს, საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული მიზნის მიღწევის შესაძლებლობას და საჭიროებას. ციფრული და აუდიო რესურსის შერჩევისას ამოწმებენ რამდენად საიმედო და სწორი ინფორმაციაა ასახული მათში. **2.2.2.2 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი საგნობრივი ჭრილის მასწავლებლების მიერ ხორციელდება საგნობრივი სასწავლო რესურსების წინასწარი შერჩევა, ეს პროცედურა კი ხორციელდება სკოლაში არსებული პროცედურების სრული დაცვით. მათი შერჩევისას უპირატესი ყურადღება ექცევა შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საგნობრივ მიზნებსა და სტანდარტებს. კათედრაზე არსებობს მძლავრი ურთიერთთანამსრომლობისა და კონსულტირების ტრადიცია, სადაც ხდება თემატიკის შესაბამისი რესურსების შერჩევა, არგუმენტირებული განხილვა - გაანალიზების საფუძველზე. რესურსების ნაირგვარობა და შინაარსის შერჩევა ხდება მოსწავლეთა ასაკობრივი გონებრივ - ინტელექტუალური და საჭიროებების გათვალისწინებით. **2.2.2.2 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხოური ენები	დამხმარე რესურსების შერჩევისას კათედრა მოქმედებს შეთანხმებულად. **რჩევა:** სასურველია, რომ სკოლამ გააგრძელოს და კიდევ უფრო გააძლიეროს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის პროცესი, რათა უზრუნველყოს მათი ხარისხი და შესაბამისობა სასწავლო მიზნებთან. **2.2.2.2 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა, ესთეტიკური აღრდის კათედრაზე, ხდება შეთანხმებული მიდგომით. განიხილვის შემდეგ შეირჩევა ის ახალი რესურსები, რომლებიც შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ, კოგნიტურ და ფსიქოლოგიურ საჭიროებებს. სკოლა აკმაყოფილებს აღნიშნულ ინდიკატორს. **2.2.2.2 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	სკოლა აკმაყოფილებს აღნიშნულ ინდიკატორს. დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება გარკვეული პროცედურების დაცვით, რაც უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთან და საგნობრივი სტანდარტებთან. სკოლაში მოქმედებს შეთანხმებული მიდგომა რესურსების შერჩევისას – მასწავლებლები განიხილავენ ახალ მასალებს. შეირჩევა მხოლოდ ის რესურსები, რომლებიც შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ, კოგნიტურ და საგნობრივ საჭიროებებს. **2.2.2.2 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა	კათედრის მიერ შემოთავაზებული დამხმარე რესურსები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო მიზნებს. **2.2.2.2 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სპორტი	სკოლას არ წარმოუდგენია კონკრეტული დოკუმენტი ვალიდაციის პროცესის, თუმცა გასაუბრებაზე აღინიშნა, რომ მუდმივად ხდება კათედრის სხდომაზე წევრებს შორის დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდურობის შეფასება, ასევე აღინიშნა მზაობა დოკუმენტაციის შექმნის შესახებ. **2.2.2.2 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე (მე-2-დან მე-6 კლასის ჩათვლით), კომპიუტერულ ტექნოლოგიებში საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილი სასწავლო რესურსები ვალიდურად ითვლება, რადგან ისინი შეესაბამება როგორც საგნობრივ სტანდარტებსა და სასწავლო მიზნებს, ისე მოსწავლეთა ასაკობრივ და უნარებზე მორგებულ საჭიროებებს. აღნიშნული რესურსები განხილულია და დამტკიცებულია საგნობრივი კათედრის მიერ. **2.2.2.2 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლაში დამხარე სასწავლო რესურსები ვალიდირებულია, რასაც ადასტურებს კათედრის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია. **2.2.2.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში ,,კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით“ ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. სასწავლო სივრცეებში არის საკმარისი რაოდენობის დაფები, მერხები და სკამები. სკოლაში არის მოსწავლეთა მცირე რაოდენობა. საკლასო სივრცე საშუალებას იძლევა აუდიტორია მოწყობილი იქნას მოსწავლეთა საჭიროების, საგნის სწავლებისას დაგეგმილი აქტივობების შესაბამისად. მასწავლებლებმა საუბრისას აღნიშნეს რომ აქვთ პროექტორი, რომლის მეშვეობითაც ხდება მოსწავლეებისთვის ციფრული და ელექტრონული რესურსების გამოყენება. **2.2.2.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი საგნობრივი ჭრილის სწავლებისას მასწავლებელები უზრუნველყოფენ მოსწავლეების ხელმისაწვდომობას მატერიალურ რესურსებზე. საკლასო, შემაჯამებელი და სხვა ტიპის დავალებების რაოდენობა და ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია სკოლის /

	მასწავლებელების მხრიდან. სკოლის მატერიალურ ტექნიკური ბაზის არსებობა (სახელმძღვანელოები, სამუშაო რვეულები, თემატური რუკები, საკლასო წერისა და შემაჯამებელი სამუშაოს ფურცლები, კომპიუტერული სისტემები, დაფა, ვიზუალური თვალსაჩინოებითი მასალები) და მასწავლებელთა მზაობა (კომპეტენცია, მოტივაცია და უნარები) იძლევა ყველა მოსწავლის დაკმაყოფილებისა და ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას. **2.2.2.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	სკოლა აღჭურვილია საჭირო მატერიალური რესურსით. სივრცე ათვისებულია გონივრულად. მოსწავლეებს გააჩნიათ ძირითადი და აუცილებელი სასწავლო რესურსები. თვალსაჩინოდაა გამოფენილი საჭირო ინფორმაცია და მოსწავლეთა ნამუშევრები. **2.2.2.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური საგნების სწავლებისას, სწავლების სამივე საფეხურზე, მასწავლებელები უზრუნველყოფენ მოსწავლეების ხელმისაწვდომობას მატერიალურ რესურსებზე. საკლასო, პრაქტიკული, შემაჯამებელი თუ სხვადასხვა ტიპის დავალებების რაოდენობას და ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს მასწავლებელი. ასევე მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა არის გათვალისწინებული. სასწავლო გარემო აღჭურვილია საჭირო მატერიალური ბაზით, რაც მოიცავს როგორც პირველადი და საბაზისო, ისე საგნობრივ და ტექნოლოგიურ რესურსებს, როგორიცაა სახელმძღვანელოები, სამუშაო რვეულები, სახატავი და საწერი მასალები, შემაჯამებელი სამუშაოს ფურცლები, ციფრული მოწყობილება, დაფა, ვიზუალური თვალსაჩინოებითი და სხვ. რესურსების განაწილება სასწავლო პროცესში ხდება კურიკულუმის მოთხოვნების შესაბამისად. **2.2.2.3.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე სკოლა აკმაყოფილებს ინდიკატორს: „კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით“. სასწავლო გარემო აღჭურვილია საჭირო მატერიალური ბაზით, რაც მოიცავს როგორც საბაზისო, ისე საგნობრივი და ტექნოლოგიური რესურსებს. სასწავლო სივრცეები (დაფები, მერხები, სკამები) ადეკვატურად პასუხობს მოსწავლეთა რაოდენობას, რაც ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის ჩართულობასა და სწავლების ეფექტიანობას. კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა მცირეა, რაც შესაძლებელს ხდის ინდივიდუალური მიდგომის განხორციელებისა. სკოლა უზრუნველყოფს აუდიტორიების

	მორგებულობას როგორც ასაკობრივ, ასევე საგნობრივ მოთხოვნებზე. რესურსების განაწილება ხდება კურიკულუმის შესაბამისად მოსწავლეთა საჭროებების გათვალისწინებით. როგორც მასწავლებლები აღნიშნავენ, რადგან კლასში მოსწავლეთა მცირე რაოდენობაა, ტელეფონითა და კომპიუტერით აწვდიან ვიზუალურ ფოტო-ვიდეო-აუდიო მასალას. **2.2.2.3.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სასწავლო გარემო აღჭურვილია საჭირო მატერიალური ბაზით, რაც მოიცავს როგორც საბაზისო, ისე საგნობრივი და ტექნოლოგიური რესურსებს. სასწავლო სივრცეები (დაფები, მერხები, სკამები) ადეკვატურად პასუხობს მოსწავლეთა რაოდენობას, რაც ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის ჩართულობასა და სწავლების ეფექტიანობას. კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა მცირეა, რაც შესაძლებელს ხდის ინდივიდუალური მიდგომის განხორციელებისა. რესურსების განაწილება ხდება კურიკულუმის შესაბამისად მოსწავლეთა საჭროებების გათვალისწინებით. როგორც მასწავლებლები აღნიშნავენ, რადგან კლასში მოსწავლეთა მცირე რაოდენობაა, ტელეფონითა და კომპიუტერით აწვდიან ვიზუალურ ფოტო-ვიდეო-აუდიო მასალას. **2.2.2.3.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სპორტი	სკოლას აქვს ღია და დახურული სპორტული ინფრასტრუქტურა და შესაბამისი სპორტული ინვენტარი, გასაუბრების დროს ასევე აღინიშნა, რომ სპორტული დარბაზი არის არასტანდარტული, პატარა ზომის, მაგრამ გამომდინარე სკოლის მცირეკონტინგენტისა დაუბრკოლებლად ხორციელდება სასწავლო პროცესი, რაც გვაძლევს იმ დასკვნის საშუალებას, რომ კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. **2.2.2.3.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	სკოლაში არსებული კომპიუტერული ლაბორატორია განახლებულია და სრულად აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით. ლაბორატორიაში განთავსებული კომპიუტერების რაოდენობა შეესაბამება მოსწავლეთა რაოდენობას კლასში, რაც უზრუნველყოფს იმგვარ საგაკვეთილო პროცესს, სადაც ყველა მოსწავლეს აქვს ხელმისაწვდომობა ტექნოლოგიურ რესურსზე. შედეგად, საგაკვეთილო აქტივობები სრულფასოვნად და ეფექტიანად მიმდინარეობს. **2.2.2.3.ინდიკატორი სრულ შესაბამისობაშია ეროვნული სტანდარტის მოთხოვნებთან.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმის ფარგლებში წარმოდგენილი და გასაუბრებაზე გამოკვეთილი დამატებითი რესურსები, კათედრას საშუალებას აძლევს მიაღწიოს ესგ-თი გათვალისწინებულ შედეგებს **2.2.2.3.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლაში დასაქმებული პედაგოგები აკმაყოფილებენ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სასწავლო საათები განაწილებულია ეფექტურად, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმის სრულფასოვან განხორციელებას.

2.2.2.4. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები;
- უკუკავშირის ფორმები;
- მოსწავლეთა შეფასების ჟურნალი (ელექტრონული/ბეჭდური);
- წინა წლების ტესტები, შეფასების რუბრიკები,შეფასებითი დოკუმენტები;
- შემაჯამებელი შეფასებების ჩანაწერები სხვადასხვა წლებში;
- პედაგოგთა სია და სქემის სტატუსები;
- დიპლომების/კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- საგაკვეთილო ბადე და განრიგი;
- ხელსეკრულებები/ბრძანებები დანიშვნის შესახებ;
- კურიკულუმთან შესაბამისი დატვირთვის ცხრილი.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმები;
- საბაზო საფეხურის (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) კურიკულუმები;
- საშუალო საფეხურის (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) კურიკულუმები;

- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- საბუნებისმეტყველო კათედრის ოქმები;
- კომპლექსური დავალების პირობები და ბარათები;

საზოგადოებრივი მეცნიერებები:

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- დაწყებითი საფეხურის (მე და საზოგადოება; ჩემი საქართველო) კურიკულუმი
- საბაზო საფეხურის (ისტორია; მოქალაქეობა; გეოგრაფია) კურიკულუმი
- საშუალო საფეხურის (საქართველოს ისტორია; მსოფლიო ისტორია; მოქალაქეობა; გეოგრაფია) კურიკულუმი
- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი
- კომპლექსური დავალების პირობები და ბარათები;
- შემაჯამებელი სამუშაოების ფორმები / შაბლონები;

უცხოური ენები:

- საგნობრივი კურიკულუმი (თითოეული საგნისა და კლასისთვის სამივე საფეხურზე)
- სამოქმედო გეგმა და კათედრის სხდომის ოქმები (4 ოქმი)
- ფოტომასალა: გაკვეთილზე გამოყენებული რესურსები
- ფოტომასალა: სკოლის მატერიალური რესურსი

ესთეტიკური აღზრდა:

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები მუსიკასა და ხელოვნებაში
- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები მუსიკასა და ხელოვნებაში
- საშუალო საფეხურის პროექტული სწავლების კურიკულუმი მუსიკასა და ხელოვნებაში
- პროექტები საბაზო საფეხურზე
- შემაჯამებელი დავალებები
- შეფასების რუბრიკები
- რეფლექსიები

სახელმწიფო ენა:

- ქართ.კათ.ოქმი1
- ქართ.კათ.ოქმი2
- ქართ.კათ.ოქმი3
- ბრძანება N2-37 კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025
- ფოტომასალა მოსწავლეთა მიერ შექმნილი რესურსების შესახებ
- ღონისძიებათა ამსახველი ფოტომასალა
- ბრძანება N2-37 კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

- შინაგანაწესი
- ბიბლიოთეკის დებულება
- მატერიალ.რესურსებით სარგებლობის წესი
- საერთო სივრცის მოხმარების ფოტოები
- ელექტრონული რესურსების ჩამონათვალი
- კომპიუტერული ლაბორატორიის გამოყენების გრაფიკი

დაწყებითი

- დაწყებითი კლასების კურიკულუმები
  გაკვეთილის გეგმები:
  გაკვეთილის თემა: "ორი ამხანაგი" – (ეზოპეს იგავი)
  თემა:სულხან-საბა ორბელიანის „უკან მიდევნებული ლამპარი“
  თემა: ქეთევან ჭილაშვილი - "პატარა კალათა"
  თემა: ფაიფურის თოჯინა სამიზნე ჯგუფი: I კლასი
- კომპლექსურები და პროექტები
  კომპლექსური დავალების პირობა: ა. სულაკაურის მოთხრობის „ბიჭი და ძაღლი“ მიხედვით აღადგინე ამბის წინა ვითარება.
  საკითხი - სულხან- საბა ორბელიანის იგავის ,,დაყვედრება ტყვეობაზე უარესია” კომიქსად გარდაქმნა, პერსონაჟების ხედვის კუთხის გათვალისწინებით.
  საკით ხი - დედისთვის მისალოცი ბარათის შექმნა
- პროექტები
  ,,სამშობლო”
  ,,საოცარი ბავშვები“
  „სწავლის მნიშვნელობა“

საბაზო საფეხური

შემაჯამებლების ნიმუშები

- გაკვეთილის გეგმები
  თემა: „სარჩობელაზედ“ ილია ჭავჭავაძე (ლიტერატურული ტექსტის განხილვა)
- კომპლექსური დავალებები
  კომპლექსური დავალების პირობა: წარმოიდგინე,რომ ხარ იმ ეპოქაში, როცა დადიანის ასული ცხოვრობდა. მისწერე მას წერილი ,რომელშიც გამოხატავ შენს დამოკიდებულებას მისადმი,გაუზიარებ შენს აზრებს,განცდებსა და ემოციებს.
- პროექტი

თემა: „სამშობლო უფრო ღრმადაა...“

საშუალო საფეხური

- გაკვეთილის გეგმა
  აკაკი წერეთლის ,,გამზრდელი“- შემაჯამებელი გაკვეთილი.
- კომპლექსური დავალებები
  თემა: ჰუმანიზმი და ინდივიდუალიზმი - დონ კიხოტის პერსონაჟები: "ჰუმანიზმი და ინდივიდუალიზმი – დონ კიხოტის პერსონაჟების ხედვა".
  საკითხი - კონსტანტინე გამსახურდიას რომან „დიდოსტატის მარჯვენაზე“ დაყრდნობით, ანალიტიკური ესეს დაწერა თემაზე - „ხელოვნებაა თავად უკვდავება“.
- პროექტი:

თემა-აკაკი წერეთლის ,,გამზრდელი''
პროექტის სათაური-,,ადამიანის ბუნება და აღმზრდელის როლი''

მატემატიკა:

- სამივე საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმები;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- სსმ მოსწავლისათვის შექმნილი რესურსები
- შემაჯამებელი წერების ნიმუშები ანალიზებით;
- განხორციელებული პროექტების მასალები;
- კომპლექსური დავალების ნიმუში;
- ურთიერთდასწრების ამსახველი დოკუმენტაცია;
- გაკვეთილის გეგმები;
- ბრძანება N2-37 კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025 ;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები;
- ფოტომასალა მოსწავლეთა მიერ შექმნილი რესურსების შესახებ;
- კურიკულუმის რევიზიის ინსტრუმენტი.

სპორტი:

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- საგნობრივი კურიკულუმები
- შეფასების სისტემა
- ინტეგრირებული გაკვეთილი
- მასწავლებელთა ურთიერთდასწრების სქემა
- დირექტორის ანგარიში

ტექნოლოგიები:

- კომპიუტერული ლაბორატორია
- კურიკულუმები 2-6 კლასი
- განხორციელებული პროექტები
- ტექნიკის მიღება-ჩაბარების აქტი.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:

- დაწყებითი კლასების კურიკულუმები

- გაკვეთილის გეგმები
- კომპლექსურები და პროექტები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

   სკოლა უზრუნველყოფს მონიტორინგისა და შეფასების პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებას იმ მეთოდოლოგიის მიხედვით, რომელიც ასახულია სასკოლო კურიკულუმში. გამოყენებულია დიაგნოსტიკური და შემაჯამებელი შეფასების ფორმები, რეფლექსიისა და უკუკავშირის მექანიზმები. შეფასების პროცესი მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებით მიმდინარეობს და შედეგები გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

   2.3.1.1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

   მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გამოიყენება სირთულეების დასაძლევად. მონიტორინგის შედეგების მიხედვით სკოლა გეგმავს ცვლილებებს სწავლა-სწავლების პროცესში, კერძოდ სწავლების ტემპში, მეთოდებსა და დამატებით აქტივობებში.

2.3.1.2.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სკოლა იყენებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს მოსწავლეთა და მასწავლებელთა საჭიროების დასადგენად. ხდება მხარდაჭერის დაგეგმვა ინდივიდუალური კონსულტაციებით, დამატებითი აქტივობებით.

2.3.1.3.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმები;
- შეფასების ინსტრუმენტები (ტესტები, რუბრიკები, ბარათები);
- მოსწავლეთა შედეგების ანალიზი;
- პედაგოგიური საჭოს ოქმები;
- სასწავლო გეგმაში ასახული ცვლილებები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

მოსწავლეთა შეფასებისას სკოლა იყენებს სხვადასხვა წყაროს : წერით დავალებებს, ზეპირ პასუხებს, პროექტებს, დაკვირვებას, თვითშეფასებას და რეფლექსიას, რაც იძლევა მოსწავლეთა პროგრესის სრულფასოვან სურათს.

2.3.2.1.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლა მოსწავლეთა შეფასებას ახორციელებს მრავალფეროვან გარემოებებში – როგორც საკლასო, ისე არაფორმალურ და პროექტზე დაფუძნებულ აქტივობებში. შედეგები მოიცავს სხვადასხვა ტიპის ამოცანებზე, რეალურ ან პრაქტიკულ კონტექსტში განხორციელებულ საქმიანობებზე დაფუძნებულ შეფასებებს.

2.3.2.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

მოსწავლეთა შეფასებისათვის სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდს: დაკვირვება, ანალიზი,წერითი დავალებები, ზეპირი პასუხები, ტესტები, თვითშეფასება და რეფლექსია.

2.3.2.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

მოსწავლეთა შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს მათ ინდივიდუალურ თავისებურებებს, წინარე ცოდნას, სწავლის ტიპს, ინტერესებსა და სოციალურ კონტექსტს. ეს უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სამართლიანობასა და ადეკვატურობას.

2.3.2.4. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შეფასების ფორმები და რუბრიკები;
- პროექტები სამივე საფეხურზე;
- საკლასო დაკვირვების ჩანაწერები;
- არაფორმალური აქტივობების შეფასებები;
- მოსწავლეტა პორტფოლიო.
- დიფერენცირებული დავალებები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

   სკოლაში კურიკულუმის განხორციელების შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება დავალების პირობის შინაარსის, მეთოდებისა და რესურსების გაუმჯობესება. აღნიშნული საჭიროებები განიხილემა კათედრებზე და ხდება მათი ასახვა შემდეგი წლის კურიკულუმში.

   2.4.1.1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

   სკოლა კურიკულუმის გადამუშავებისას ითვალისწინებს წინა წლის ანალიზს, მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს, მათ შორის მოსწავლეთა საჭიროებებსა და მასწავლებელთა უკუკავშირს. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ასახავს მასწავლებელთა პრაქტიკიდან მირებულ გამოცდილებას.

   2.4.1.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პედაგოგიური საბჭოს ოქმები;
- კათედრის ოქმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



თარიღი: 1 აგვისტო. 2025 წ.